პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 211 (18453) კვირა, 12 სექტემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

12 სექტემბერი ტანკისტთა დღეა

შრომითი ლაშქრობა გრძელდება

დიდი ხანი არ არის, მიილია შრომითი სემესტრის დღეები და შთაბეჭდილებებით ალსავსე, გაკაჟებული, მზით გარუჯული ქალიშვილები და ჭაბუკები მშობლიურ სასწავლებლებს დაუბრუნდნენ. დერეფნებში, აუდიტორიებსა თუ საკლასო ოთახებში დაუსრულებლად ისმოდა შრომითი დღეების მოსაგონარი — გახსოვს? — რამდენ საინტერესო, შინაარსიან რომანტიკულ ამბავს იტევდა ეს ერთი სიტყვა...

ჩვენი ახალგაზრდობა მუდამ მხარდამხარ მიჰყვება ცხოვრებას, დროებას, პირნათლად ასრულებს პარტიის ყველა დავალებას, განამტკიცებს სამშობლოს ძლიერებას. ახალგაზრდები ყოველთვის იქ არიან, სადაც ყველაზე მძლავრად ვითარდება მრეწველობა, სადაც მათი ენთუზიაზმი და მკლავის ძალა ყველაზე მეტად სჭირდება ჩვენს მრავალდარგოვან სახალხო მეურნეობას.

ამ დღეებში რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის ინიციატივის — „განვაგრძობთ შრომითს სემესტრს" — მოწონების შესახებ. ეს შესანიშნავი თაოსნობა აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის უნივერსიტეტში იშვა. ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა შექმნეს დამკვრელური კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები და განიზრახეს მთელი ფაკულტეტი წასულიყო სოფლის მშრომელთა დასახმარებლად. ეს მხარდაჭერა გახლდათ სარატოვის ოლქის მშრომელთა თაოსნობისა — „შევინარჩუნოთ მთელი მოწეული ჭირნახული" და ამ კეთილშობილურ საქმეში ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებს მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლებლის ყველა სტუდენტი, აფხაზეთის უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ტექნიკუმების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სტუდენტები და მოსწავლეები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების კოლეგიებმა, რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა მოიწონეს ეს პატრიოტული თაოსნობა, რომელმაც სულ მალე მთელი რესპუბლიკის სტუდენტობა და მოსწავლე ახალგაზრდობა აიყოლია.

ასეა ყოველთვის: ჩვენმა ახალგაზრდობამ იცის, როდის, სად არის საჭირო მისი ნიჭი, ნათელი გონება, ახალგაზრდული ენთუზიაზმი. ახლა ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, საკავშირო ალკკ XIX ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში წამოყენებული დებულებებითა და დასკვნებით ხელმძღვანელობენ და კონკრეტული წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში.

ჩვენი ახალგაზრდობის შემართება ამ ზაფხულშიც კარგად გამოჩნდა, როცა სერიოზულ გამოცდად იქცა მიმდინარე წელი საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის და უაღრესად არახელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა ეჭვქვეშ დააყენა 1982 წლის მოსავლის ბედი. ახლა, როცა სოფლის მეურნეობაში დადგა ყველაზე პასუხსაგები პერიოდი — მზარდი ტემპით მიმდინარეობს მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა, დაიწყო რთველი, კარზეა მომდგარი ციტრუსოვანთა მოსავლის აღება, მტკიცე საფუძველი ეყრება საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვებ ბაზას, რესპუბლიკის ახალგაზრდობა კვლავაც ავანგარდშია და თავისი წვლილი შეაქვს სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

წლეულს შრომითს სემესტრში მომავალმა სპეციალისტებმა და მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე — მრეწველობაში, მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაში. ახლა კი ეს ერთთვიანი ლაშქრობა მხოლოდ სოფლის მეურნეობას — მოსავლის აღებას დაუკავშირეს. ასიათასობით სტუდენტი ხელდაკაპიწებული შრომობს ჩაის პლანტაციებსა და ბაღ-ვენახებში.

ამ დღეებში უმაღლეს სასწავლებლებში სასწრაფოდ კომპლექტდება დამკვრელური რაზმები და ბრიგადები. ყოველდღიურად ქალიშვილებისა და ჭაბუკების ახალ-ახალი დესანტი ებმება შრომაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სალაშქროდ პირველნი გაემგზავრნენ მომავალი ფიზიკოსები, ფილოლოგები, ეკონომისტები, ფილოსოფოსები. შარშან სწორედ უნივერსიტეტელები იყვნენ მსგავსი თაოსნობის მოთავენი. უნივერსიტეტის მებრძოლებმა წლეულს მარტო სმოლენსკის ოლქში 2 მილიონ 200 ათასი მანეთის ნაცვლად 4 მილიონ 300 ათასი მანეთი გამოიმუშავეს.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა შრომით ზაფხულში 6 მილიონი მანეთის სამუშაოები შეასრულეს. ამ ინსტიტუტის სტუდენტები სხვებთან ერთად 15 სექტემბრიდან საგარეჯოს რაიონის მევენახეებს რთველში შეეშველებიან. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა თაოსნობის პასუხად გადაწყვიტეს სექტემბერ-ოქტომბერში აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოსავლის აღებაში ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობაში, რომელსაც თვითონ შეფობენ. და რომელი ერთი უმაღლესი, სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ჩამოვთვალოთ, რომელთა აღსაზრდელებმაც ჭეშმარიტად მამულიშვილურ მოწოდებად, ხვალინდელ დღეზე თავდაუზოგავი ფიქრისა და ზრუნვის ნიმუშად აღიქვეს სოხუმელი სტუდენტების მიმართვა.

ენთუზიასტებს ადგილებზე ჯეროვანი დახვედრა დასჭირდებათ. ამაზე უნდა იზრუნონ შესაბამისი რაიონების პარტიულმა კომიტეტებმა, მიმღებმა ორგანიზაციებმა დროზე უნდა მოუმარაგონ მოლაშქრეებს საჭირო ტექნიკა, სპეცტანსაცმელი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინონ ახალგაზრდებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო, დასვენების პირობების შესაქმნელად.

ახალ ლაშქრობაში მონაწილეობის სურვილი მრავალმა პირველკურსელმა გამოთქვა. ახლდება რაზმების, დამკვრელური ბრიგადების შემადგენლობა, მაგრამ უცვლელი რჩება თავგანწირული შრომის ტრადიციები.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ვალია ყველგან მზრუნველად მოეკიდონ კომკავშირული ორგანიზაციების ამ ახალ შესანიშნავ თაოსნობას, გაუწიონ მათ დროული და პრაქტიკული დახმარება, რომ ამ საიუბილეო წელს ახალგაზრდული ენთუზიაზმი მნიშვნელოვან კონკრეტულ საქმეებად გადაიქცეს.

1982 წლის 16 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას დაიწყებს საქართველოს მხატვართა X ყრილობა.

ყრილობა გაიხსნება დილის 10 საათზე.

რეგისტრაცია იწარმოებს 8 საათსა და 30 წუთიდან.

ყრილობის დელეგატები მანდატებს მიიღებენ საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის შენობაში (რუსთაველის გამზ. #) 14 და 15 სექტემბერს, 10 საათიდან 18 საათამდე.

60 საიუბილეო შრომის ვახტზე

ეს დღეები სოფლად

ხობი. („კომუნისტის" კორ.). კოლხეთში ყოველწლიურად იზრდება ჩაის პლანტაციების ჰექტარობრივი მოსავლიანობა. ასეა ხობის რაიონშიც. ხობელები შარშანდელთან შედარებით 1000 ტონით მეტ ჩაის ფოთოლს დაკრეფენ. მიუხედავად წლევანდელი უამინდობისა, ხობელებმა ჩაის ფოთლის სეზონი კარგად დაიწყეს და მალე სამშობლოს უპატაკებენ გეგმა-ვალდებულების შესრულებას.

ჩაის საერთო წარმოებაში აქ დიდი წვლილი შეაქვთ ახალი ხიბულის, საჯიჯაოს და ძველი ხიბულის კოლმეურნეობების, ხიბულის, ნოჯიხევის, „კოლხეთის", თორსის საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეებს.

თავი ისახელეს ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ვ. ნარსია და ლ. შამათავა ხელმძღვანელობენ. მოწინავე მექანიზატორები — ლენინის ორდენოსანი გ. ჩუტკარაშვილი, ა. თირქია, შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენის კავალერი ხ. ჯანჯღავა, მ. კემულარია, ლ. ოქსანენკო, ვ. ვადაქარია ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ. მათ წლიური გეგმა-ვალდებულება შეასრულეს. აღსანიშნავია ისიც, რომ წლების განმავლობაში ჩაის ფოთლის კრეფის ნაკისრ ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებს მცირე მექანიზაციის რგოლი, რომელსაც ხ. ჯანჯღავა ხელმძღვანელობს. რგოლში ხ. ჯანჯღავას ოჯახის წევრები არიან გაერთიანებული, — მეუღლე ლამარა, შვილები დალი, მზია და აპოლონი, რომლებმაც ნაკისრი ვალდებულება შეასრულეს.

წლევანდელი ამინდები — ხშირი ხეტყვა, კოკისპირული წვიმები, ქარაშოტი, წყალდიდობა — განსაკუთრებით არ ანებივრებდათ რესპუბლიკის მევენახეებს. მაგრამ იქ, სადაც ამ მოვლენებს დაუშრომელი გარჯა დაუპირისპირეს, სადაც ვაზს მზრუნველი ხელი არ მოაკლეს, ხტიქიასაც ხძლიეს და ყურძნის უხვ მოსავალსაც იღებენ.

ასე იყო ხიდნალის რაიონის სოფელ ტიბაანშიც. აქ ვაზის გადასარჩენად მთელი სოფელი დაირაზმა. დიდი და პატარა თავს დასტრიალებდა კოლმეურნეობის ზვრებს, ხეტყვითა და ქარაშოტით დაზიანებულ ვენახს შველოდნენ, ხშირი წვიმების შედეგად გაჩენილ დაავადებებს — ნაცარსა და ჭრაქს მკურნალობდნენ, თოხნიდნენ, სარეველებისგან წმენდნენ, მინერალური სასუქები შეჰქონდათ და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს.

ახლა, როცა რთველია გაჩაღებული, მეზვრეთა გარჯა გამოიკვეთა, უქმად არ ჩაუვლია მათ შრომას. და აი, ჰექტარზე საშუალოდ 80-90 ცენტნერ ხარისხოვან ყურძენს კრეფენ.

რთველში განსაკუთრებით ისახელა თავი მოწინავე მევენახემ მარიამ მამაიაშვილმა, რომელიც ყურძნის კრეფის ყოველდღიურ გეგმას ორმაგად ასრულებს.

სურათზე: მარიამ მამაიაშვილი.

მ. კვირიკაშვილის ფოტო.

მოსკოველთა თაოსნობას მხარი დაუჭირეს

ხაკავშირო რადიომ გვაცნობა დედაქალაქის მშრომელთა ახალი პატრიოტული თაოსნობა — ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა გამოიჩინა ინიციატივა 18 დეკემბერს მოაწყოს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა.

რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის ქ. ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ელექტრომექანიკური, ლითოფონის ქარხნების, რეზინტექნიკური ნაწარმის ქარხნის, სხვა საწარმოების შრომითმა კოლექტივებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოსკოველთა მოწოდებას, პირობა დადეს, რომ შაბათობაზე იშრომებენ უმაღლესი შრომის ნაყოფიერებით.

ქუთაისის ინდუსტრიის შრომითმა კოლექტივებმა პირობა დადეს, რომ კომუნისტურ შაბათობაზე სულ გამოუშვებენ მილიონი მანეთის პროდუქციას. (საქინფორმი).

დღესასწაულის აღსანიშნავად

მოსკოვი

10 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა მშრომელთა წარმომადგენლებისა და დედაქალაქის გარნიზონის მეომართა საზეიმო კრება, რომელიც ტანკისტთა დღეს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. თ. დმიტრიევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, ტანკმშენებლები და კონსტრუქტორები, სატანკო ჯარების ვეტერანები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრებაზე გამოვიდა სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, არმიის გენერალი ვ. ი. პეტროვი.

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. (საკდესი).

თბილისი

საბჭოთა მეომრების შესანიშნავ დღესასწაულს — ტანკისტთა დღეს მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც 10 სექტემბერს გაიმართა თბილისში.

სავაჭრო-ვაჭრობამჭველობის მუშაკთა კულტურის სახლის დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გენერლები და ოფიცრები, თბილისის გარნიზონის მეომრები.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ლ. ველიჯანაშვილმა.

შეკრებილებმა ერთსულოვნად, ტაშის გრიალით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება საბჭოთა ტანკისტების მიერ განვლილი სახელოვანი გზის, დიდი სამამულო ომის წლებში მათი უმაგალითო მამაცობის, დღევანდელი მხედრული ყოველდღიური საქმიანობის შესახებ გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯავშანსატანკო სამსახურის უფროსმა, პოლკოვნიკ-ინჟინერმა ა. ნ. მუხინმა.

საზეიმო კრებას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. რ. საჯაია. (საქინფორმი).

გულითადი მილოცვა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოსა და ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარეს ამხანაგ მენგისტუ ჰაილე მარიამს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა ხალხის სახელით და პირადად ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის ცენტრალურ კომიტეტს, დროებით სამხედრო ადმინისტრაციულ საბჭოს, მინისტრთა საბჭოსა და მეგობარ ეთიოპელ ხალხს გულითადად ულოცავენ და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ ეროვნული დღესასწაულის — რევოლუციის დღის გამო.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ეთიოპიის მეგობრული ურთიერთობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება. ეს მთლიანად შეესაბამება ჩვენი ქვეყნების ხალხთა და საერთაშორისო გაერთიანების ინტერესებს, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. (საკდესი).

ქართველ მეჩაიეთა ღირსებისა და პრესტიჟის საქმე

ხულ 17 სავეგეტაციო დღე დაკარგეს ალოობის დროს ქართველმა მეჩაიეებმა არახელსაყრელი ამინდის პირობების გამო, მაგრამ შემოდგომის დამდეგისათვის მათ დააკლდათ 40 ათასი ტონა „მწვანე ოქრო". დაკარგულის ასანაზღაურებლად, მოსავლის კრეფის დროს შრომის უმაღლესი ნაყოფიერების მისაღწევად რესპუბლიკის მწვანე პლანტაციების მშრომელებმა სექტემბერი და ოქტომბერი დამკვრელური მუშაობის თვეებად გამოაცხადეს. შინაგანი რეზერვებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების ყველა შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენების გათვალისწინებით ქართველი მეჩაიეები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რომ სეზონის დამლევამდე ყოველდღიურად მოკრიფონ საშუალოდ ოთხიდან ექვსი ათას ტონამდე ხარისხოვანი ფოთოლი.

ეს ითქვა მეჩაიეობის რაიონების ხელმძღვანელთა რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც 10 სექტემბერს გაიმართა სოხუმში. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი გ. მგელაძე.

ინფორმაცია რესპუბლიკის მეჩაიეობაში შექმნილი უაღრესად მძიმე მდგომარეობის შესახებ თათბირზე გააკეთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ვარძელაშვილმა.

ადგილებზე საქმის ვითარება დაწვრილებით გააანალიზეს, ჩაის ფოთლის კრეფაში ჩამორჩენის დაძლევის, ნედლეულის შეუფერხებელი გადამუშავების ორგანიზაციის შესახებ კონკრეტული წინადადებანი წამოაყენეს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ადლეიბამ და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ, პარტიის რაიკომების პირველმა მდივნებმა: მახარაძისა — ო. თენეიშვილმა, ზუგდიდისა — ი. თოდუამ, ლანჩხუთისა — თ. კუნჭულიამ, ჩოხატაურისა — ზ. ერქომაიშვილმა, წულუკიძისა — ვ. კვარაცხელიამ, გეგეჭკორისა — ი. მოწერელიამ, ჩხოროწყუსი — კ. ქაჯაიამ, წალენჯიხისა — რ. ჯახიამ, ცხაკაიასი — ვ. ესვანჯიამ, ხობისა — ნ. ნადარაიამ, სამტრედიისა — თ. იმედაძემ, პარტიის საქალაქო კომიტეტების პირველმა მდივნებმა: წყალტუბოსი — ნ. ავალიანმა, ტყიბულისა — გ. ლორთქიფანიძემ, ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. უბირიამ, სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" უფროსმა ე. მალაზონიამ.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი.

თათბირის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

მრავალი წლის მანძილზე, შეშფოთებით აღინიშნა თათბირზე, რესპუბლიკა პირველად აღმოჩნდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების არა მარტო ვალდებულების, არამედ ძირითადი გეგმის ჩაფუშვის რეალური საფრთხის წინაშე, მდგომარეობა ფრიად დაძაბული შეიქმნა. ამას მოწმობს ცნობა: 1982 წლის სეზონის დამდეგიდან 9 სექტემბრისათვის სულ მოიკრიფა 422.382 ტონა ჩაის ფოთოლი, მაშინ როდესაც გასული წლის ამ პერიოდისათვის მოკრეფილი იყო 457.282 ტონა და ჩამორჩენის მიუხედავად, პლანტაციებში მოსავლის კრეფის ტემპი ამ დარიან დღეებში კვლავ ნელია. 9 სექტემბერს, მაგალითად, მოიკრიფა მხოლოდ 3.435 ტონა ჩაის ფოთოლი. თათბირზე დაასახელეს იმის მაგალითები, რომ მეურნეობათა ცალკეული ხელმძღვანელები ძნელი, ალოობის დაძაბულ დღეებში უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობებს. ჯერ კიდევ ბევრია ფაქტი, როცა კოლმეურნეობების თავმჯდომარეები თვითონ არ გადიან პლანტაციებში, არ იციან, რა შრომითი რესურსები, ტექნიკური საშუალებანია მათ განკარგულებაში, მუდამ არ არიან მუშებთან და კოლმეურნეებთან ჩაის კრეფის დროს. შრომის ასეთი ორგანიზაციის დროს გასაკვირი არ არის, რომ მეჩაიეები ზოგჯერ, როცა მოესურვებათ, მაშინ გადიან სამუშაოდ, ავდარში კი შინ სხდიან.

არც ჩაის ფაბრიკებშია მოგვარებული ზუსტი, შეუფერხებელი მუშაობა. წელს იშვიათად თუ რომელიმე მათგანი მუშაობდა სრული საწარმოო სიმძლავრით, და მიუხედავად ამისა, ბევრი ჩაი „გადაიწვა" ფაბრიკის ჭიშკართან. უყაირათობის ამგვარ ფაქტებს ბოლო უნდა მოეღოს, — მოითხოვა თათბირმა. ჩაის ბუჩქების მესამე ვეგეტაციას ყველგან კარგი პირი უჩანს, მეურნეობებს საკმაოდ ჰყავთ ადამიანები და აქვთ საჭირო ტექნიკური რესურსები. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ აღმოვფხვრათ ჩამორჩენა და პირნათლად შევასრულოთ არა მარტო გეგმები, არამედ სოციალისტური ვალდებულებანიც. რაიონებმა, რომლებსაც აქვთ ამის შესაძლებლობა, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, გაცილებით უფრო მაღალ მიჯნებს უნდა მიაღწიონ სექტემბერში, რათა რაც შეიძლება მალე შეასრულონ თავიანთი ვალდებულება და დაფარონ შესაძლო გარღვევები ცალკეულ რეგიონებში გეგმების შესრულებაში. ყოველივე ნათქვამი ფუჭ სიტყვებად დარჩება, თუ ადგილებზე არ აღვრიცხავთ თითოეულ ადამიანს, ყოველ სამუშაო წუთს, არ უზრუნველვყოფთ ჩაის კრეფას ყოველგვარი ამინდის პირობებში.

მეჩაიეების წინაშე ძნელი ამოცანა დგას, მაგრამ ამ ამოცანის შესრულება შეიძლება. ჩვენი ვარაუდი რეალური იქნება, თუ სექტემბერში იქ, სადაც კარგი ვეგეტაციაა, დღეში მოვკრეფთ ხუთ ან ექვს ათას ტონა ჩაის ფოთოლს. ოქტომბერში ხომ შეიძლება გართულდეს ამინდის პირობები და მაშინ ველარ შევძლებთ საჭირო რაოდენობის ნედლეულის მოკრეფას.

პარტიის თითოეული რაიკომის, თითოეული პარტიული ორგანიზაციის, სამეურნეო ხელმძღვანელის ვალია ყოველ მშრომელს აუხსნას, თუ რაოდენ სერიოზულია მეჩაიეობაში შექმნილი შემაშფოთებელი მდგომარეობა, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე. არადა, არასდროს არ მომხდარა, რომ ჩვენს მეჩაიეებს პირობა არ შეესრულებინოთ, არ გაეხარებინოთ ქვეყანა უხვი მოსავლით. ახლა მათ უნდა მოვუსმინოთ, დავინტერესდეთ, რას აპირებენ, რა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება დაგვჭირდება, რომ შევაფასოთ ჩვენი რეზერვები, ვიცოდეთ ტრანსპორტისა და სხვა ტექნიკის შესაძლებლობანი.

წელს გაცილებით უკეთესად მუშაობს ჩაის მრეწველობა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პიკ კრეფაც არ გვქონია. ამიტომ, როცა დავიწყებთ დღეში 5-6 ათასი ტონა ფოთლის კრეფას, შეიძლება წარმოიშვას სიძნელეები, მათ დასაძლევად კი უნდა მოვაწყოთ ფაბრიკების ორ-და სამცვლიანი მუშაობა მეურნეობებთან შეთანხმებული შემჭიდროვებული გრაფიკით. პარტიის რაიკომების ყურადღების ცენტრში მუდამ უნდა იყოს ჩაის ფაბრიკების მუშაობა, ბრძოლა ჩაის მაღალი ხარისხისათვის უნდა წარმოებდეს ყველგან — პლანტაციებშიც, ფაბრიკებშიც. ეს პოლიტიკური საკითხია. არავითარ კომპრომისებს, არავითარ შეღავათებს არ უნდა დავეთანხმოთ.

ქართული ჩაის ხარისხი უნდა მაღლდებოდეს ყველგან და მუდამ — ეს ქართველ მეჩაიეთა ღირსებისა და პრესტიჟის საქმეა.

შრომის სწორი ორგანიზაცია თითოეულ უბანზე წარმატების მთავარი პირობაა.

თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის ისეთი პასუხსაგები რგოლის მუშაობის საკითხს, როგორიცაა ბრიგადირი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბრიგადირი მოსავლის აღებისას ცენტრალური ფიგურაა. უწინარეს ყოვლისა, მან უნდა შეაჯამოს სამუშაო დღის შედეგები, რათა იცოდეს არა მარტო ის, თუ რამდენი ჩაი მოიკრიფა, არამედ ისიც, რამდენი და რატომ დარჩა პლანტაციიდან გამოუზიდავი, უყაირათობის ასეთი ფაქტები შესაბამისად უნდა განსაჯოს.

საჭიროა ადგილებზე გამოვნახოთ დამატებითი შრომითი რესურსები. მეჩაიეებს უნდა დაეხმარონ ქალაქის სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა მშრომელები.

თათბირმა გამოთქვა იმედი, რომ რესპუბლიკის მწვანე პლანტაციების მშრომელები ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა საიუბილეო წელს პირნათლად შეასრულონ თავიანთი გეგმები და ვალდებულებანი, ახალი ძალით გაშალონ ბრძოლა ხუთწლედის დიდი ჩაისათვის. (საქინფორმი).

მეგობრულ ვითარებაში

10 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ საუზმე გაუმართა სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად მყოფ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ხ. პერეს დე კუელიარს. საუზმეზე მათ მოკლე სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვანი როლი ბირთვული ომის თავიდან აცილების, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების საქმეში. მან თქვა, რომ როგორც ეს ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე პირადად ლ. ი. ბრეჟნევმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან საუბრისას, საბჭოთა კავშირი უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეცადინეობას, რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება.

საპასუხო სიტყვაში ხ. პერეს დე კუელიარმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის კონსტრუქციულ პოზიციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მან თქვა, რომ მეტად კმაყოფილია ლ. ი. ბრეჟნევთან საუბრით, აგრეთვე მოსკოვში გამართული მოლაპარაკებით.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი და სხვა ოფიციალური პირნი.

საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ნაშუადღევს ხ. პერეს დე კუელიარი ლენინგრადს გაემგზავრა.

აეროდრომზე იგი გააცილეს ა. ა. გრომიკომ და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

იდეოლოგიური მუშაობის ქრონიკა

თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის ბაზაზე მუშაობა დაიწყო ეკონომიკური განათლების სისტემის პროპაგანდისტთა გადამზადების ერთთვიანმა კურსებმა. მისი ორგანიზატორია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მშრომელთა ეკონომიკური განათლების რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო. კურსების მსმენელები შეისწავლიან „მშრომელთა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით რეკომენდებულ თემებს. ესენია „სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა", „მომჭირნეობა კომუნისტური თვისებაა", „ეკონომიური ეკონომიკა", აგრეთვე მეცნიერულ ტექნიკურ პროგრესთან და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

ქუთაისი. აქ მუშაობა დაიწყო დასავლეთ საქართველოს პროპაგანდისტთა გადამზადების ორკვირიანმა კურსებმა. 340 პროპაგანდისტი მოისმენს ლექციებს მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში, პოლიტეკონომიაში, მეცნიერულ კომუნიზმში. მეცადინეობას ხელმძღვანელობენ პედაგოგიური და პოლიტექნიკური ინსტიტუტების პროფესორმასწავლებლები. კურსების პროგრამა ითვალისწინებს ქალაქის დიდ საწარმოთა იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილების გაცნობას, შეხვედრებს მშრომელთა პარტიული სწავლებისა და ეკონომიკური განათლების სკოლებისა და სემინარების საუკეთესო პროპაგანდისტებთან.

მცხეთა. სასურსათო პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების მოადგილეთა სკოლის მორიგ მეცადინეობაზე. მეცადინეობის დაწყებისას პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ზ. ანთაძემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, სასურსათო პროგრამის საყოველთაო სახალხო მნიშვნელობის, მისი განხორციელებისათვის რაიონის მშრომელთა ამოცანების შესახებ ილაპარაკა რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარემ ჯ. სეხნიაშვილმა. (საქინფორმი).

განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი!

რეზერვების ძიების გზით

საოლქო კომიტეტი და სასურსათო პროგრამა

სასურსათო პროგრამამ უდიდესი ამოცანები დაგვისახა. 1990 წლამდე მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს ქვეყნის მოსახლეობის მომარაგება საკვები პროდუქტებით. ამ უდიდესი და უმნიშვნელოვანესი საქმის წარმატებით გადაწყვეტაში წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის ყველა რეგიონმა. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ჩვენ ვართ. ამ საკითხისადმი მიძღვნილ პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმზე დავაკონკრეტეთ ჩვენი ამოცანები: მეთერთმეტე ხუთწლედში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წლიური წარმოება 19,3 პროცენტით გაიზრდება, ციტრუსებისა — 33,4 პროცენტით, ყურძნისა — 20 პროცენტით. დაგეგმილია ბოსტნეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა.

კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების და დამზადე-...

...ნა და სხვ. სწორედ ამან განაპირობა ის დიდი ყურადღება და ზრუნვა, რომელსაც ჩვენ ამ კულტურებისადმი ვიჩენთ. მით უმეტეს, რომ არსებობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

როგორც აღვნიშნეთ, ამ დარგების განვითარებას დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ამის გამოხატულებაა თუნდაც ის, რომ — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ციტრუსების, კარტოფილის, რძის, ხორცის, კვერცხისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის დავალებანი. წარმატებას მივაღწიეთ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის გადიდებაში ერთეული. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში, რენტაბელობის ამაღლებაში, კოლმეურნეობების ეკონომიკურად განმტკიცებაში, კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ზრდასა და სოფლის მოსახლეობის კეთილდღე-...

...არ ივარგებს, რადგანაც აჭარა მცირემიწიანი რეგიონია. ამ ათწლეულში მხოლოდ ქობულეთის რაიონის დაჭაობებულ მიწებს და მდინარე ჭოროხის სანაპიროებს ავითვისებთ. ეს არის და ეს. ე. ი. მთავარია ინტენსიფიკაცია, არსებულ სავარგულებზე მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება. მართალია, ჩაის საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 9.994 კილოგრამს — თითქმის ზღვრულ ნორმას მიაღწია, მაგრამ არის კი ეს მართლა ზღვარი? არამც და არამც. უხვმოსავლიანი კლონის „კოლხეთი“ რომ დავნერგოთ, პერსპექტივებს უკეთ რომ მოვუაროთ, განა მოსავლიანობა მკვეთრად არ გაიზრდება!

რეზერვია თუნდაც ის, რომ დღეისათვის 23 კოლმეურნეობა და 3 საბჭოთა მეურნეობა საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობით რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელს ჩამორჩება. ამ მაჩვენებელთან მათი გათანაბრება წელიწადში დამატებით 3.770 ტონა ჩაის ფოთოლს მოგვცემს.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რეზერვებია მეციტრუსეობაში, სადაც ავტონომიური რესპუბ-...

...ბები აჭარის ყველა რეგიონში საკმაოდაა, სადაც მასობრივად გაშენდება კაკლოვანი, კურკოვანი, თესლოვანი ხეხილი და მალლარი ვენახი.

სუბტროპიკულ ზონაშიც და აჭარის მთიან რაიონებშიც არის სხვადასხვაგვარი ბოსტნეულის ...

...მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს.

სკკპ XXVI ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობის საფუძველი იყო და კვლავ არის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, ...

...ჩვენ ყოველმხრივ გავაანალიზეთ ჩვენი შესაძლებლობები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების რეზერვები. ახალი სავარგულების ათვისებაზე იმედის დამყარება ...

...ფასება. ამ შეფასების პასუხი ჩვენი ხალხის ახალ-ახალი გმირული საქმეები იქნება.

მ. ბერიძე,

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი.

ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი

პრესის მიმოხილვა

საქართველოს წლევანდელ რესპუბლიკურ გაზეთებს რომ ფურცლავ, თითქოს ეცნობი შინაარსიან მოთხრობას ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, საბჭოთა ადამიანების ღრმა ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის შესახებ. „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საიუბილეო თემატიკა ყოველდღიურად შუქდება.

ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით გამოსვლების გეგმა, რომელიც შეიმუშავეს და ახორციელებენ რესპუბლიკური გაზეთების „კომუნისტის“, „ზარია ...

...შვილს. ქართველ მეცნიერს მჭიდრო საქმიანი კონტაქტები აქვს დამყარებული ურალისა და ალტაის, უკრაინისა და ბელორუსიის კოლექტივებთან. წარმატებას ...

გ. ლებანიძე,

(„პრავდა“ კორესპონდენტი).

ფაშიზმი ვერ იბოგინებს

12 სექტემბერი ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღეა

სექტემბერი მდიდარია ისტორიული თარიღებით და მოვლენებით. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღეს — XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული პერიოდის — ფაშიზმის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის მოსაგონარს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ანტიფაშისტების ინიციატივით ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება შემოდგომის პირველი თვის მეორე კვირას.

ამ დღეს კრებებზე, მიტინგებსა და მანიფესტაციებზე ანტიფაშისტები, ჰიტლერული „სიკვდილის ბანაკების“ ყოფილი ტუსაღები, ჰიტლერელთა დილეგებში დახვრეტილი და ნაწამები პატრიოტების ნათესავები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, პლანეტის პატიოსანი ადამიანები პატივს მიაგებენ იმათ ხსოვნას, ვინც თავი დადო ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ანტიფაშისტები, დემოკრატები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნის საუკეთესო პატივისცემაა მტკიცე მოქმედება ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის, განიარაღებისა და დაძაბულობის შენელებისათვის, ვაშინგტონის ადმინისტრაციის მილიტარისტული კურსის წინააღმდეგ. აი ამიტომ არის, რომ ფაშიზმის მოწინააღმდეგენი იმ მძლავრი ომის საწინააღმდეგო მოძრაობის მოწინავე რიგებში ...

...არიან, რომელმაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს და შეერთებული შტატები მოიცვა.

ანტიფაშისტების მეცადინეობის გაერთიანებაში დიდ როლს ასრულებს წინააღმდეგობის მებრძოლთა საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც 67 ორგანიზაციას აერთიანებს. ფედერაცია აქტიურად ებრძვის ყოველგვარი ფორმის ფაშიზმისა და ნაციზმის აღორძინებას, წმიდათაწმიდად ინახავს წინააღმდეგობის დაღუპულ გმირთა ხსოვნას, ცდილობს მიაღწიოს იმ ჰიტლერელების დასჯას, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს კაცობრიობის წინაშე. მან დაგმო ისრაელის აგრესია ლიბანში. წინააღმდეგობის მებრძოლთა ფედერაციამ დაგმო ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილებაც შეუდგეს ნეიტრონული იარაღის სერიულ მასშტაბით წარმოებას და დასავლეთ ევროპაში განალაგოს ახალი ამერიკული საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტები. ფედერაციამ მხარი დაუჭირა მოლაპარაკებას განიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული განიარაღების თაობაზე, სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისადმი მიძღვნილი ევროპული კონფერენციის მოწყობას. იგი დასავლეთს მოუწოდებს დეტალურად შეისწავლოს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივები და წინადადებანი. ყველა ანტიფაშისტისათვის საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის საწინდარია.

საერთაშორისო ცხოვრების ზურგზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

11 სექტემბერი

● ვიეტნამი

უარყვეს ნაყალბევი

ჰანოი. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ უარყო იაპონიის კიოდო ცუსინის სააგენტოს ცილისმწამებლური ცნობები იმის შესახებ, თითქოს ვიეტნამმა თავი მოუყარა ჯარებს კამპუჩია-ტაილანდის საზღვარზე.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს, ასეთი ნაყალბევების, რომლებსაც გამუდმებით ავრცელებენ, მიზანი ის არის, რომ სახელი გაუტეხონ ვიეტნამის კეთილ განზრახვას — კამპუჩიიდან გამოიყვანოს შეიარაღებული ძალების გარკვეული ნაწილი. ამ ცნობების მიზანია დაძაბულობა შექმნან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ურთიერთობაში.

მშვიდობა — ახლო აღმოსავლეთს

ფესი. მაროკოს ქალაქ ფესში მუშაობა დაამთავრა არაბული ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მეთორმეტე თათბირმა. თათბირის მონაწილენი — 19 არაბული სახელმწიფოს დელეგაციები და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის დელეგაცია, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარის ი. არაფატის მეთაურობით — ოთხი დღის მანძილზე იხილავდნენ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, რომელიც შექმნა პალესტინელი და ლიბანელი ხალხების წინააღმდეგ ისრაელის მუხანათური აგრესიის შედეგად, პალესტინის პრობლემას, ირან-ერაყის შეიარაღებულ კონფლიქტს.

თათბირმა ერთსულოვნად მიიღო საბოლოო დეკლარაცია, რომელიც შეიცავს ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის მშვიდობიანი მოწესრიგების გეგმას. ეს გეგმა, რომელიც რვა პუნქტისაგან შედგება, შეიცავს მოთხოვნას გაიყვანოს ისრაელმა თავისი ჯარები 1967 წელს ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიებიდან, მათ შორის იერუსალიმის არაბული ნაწილიდან, გაუქმდეს ისრაელთა ყველა დაბა, რომლებიც თელ-ავივმა შექმნა ოკუპირებულ არაბულ მიწა-წყალზე ...

არაბული ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების თათბირის დეკლარაცია

1967 წლის შემდეგ გათვალისწინებულია პალესტინის არაბი ხალხის თვითგამორკვევის ერთვნული უფლებების უზრუნველყოფა პალესტინელი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენლის — პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც დედაქალაქი ექნება იერუსალიმში.

გეგმის შესაბამისად ისრაელის მიერ მიტაცებულ მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირი და ღაზის სექტორი დაექვემდებარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლს გარდამავალი პერიოდით, რომელიც არ აღემატება რამდენიმე თვეს.

დეკლარაცია გადაჭრით გმობს ისრაელის აგრესიას ლიბანის, ლიბანელი და პალესტინელი ხალხების წინააღმდეგ და აღნიშნავს, თუ რა სერიოზული შედეგები მოჰყვა ამ აგრესიას რეგიონის სტაბილურობისა და უშიშროებისათვის. მასში დადასტურებულია არაბული ქვეყნების სოლიდარობა ლიბანთან და მზადყოფნა ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს მას არსებული პრობლემების გადაჭრაში. თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ პალესტინელ ხალხს თავისი ხელშეუხებელი ეროვნული უფლებების განხორციელებისათვის ბრძოლაში და მაღალი შეფასება მისცეს პალესტინის რევოლუციას, ლიბანელი და პალესტინელი ხალხების, სირიის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგობას ისრაელი აგრესორისადმი.

მიღებულია გადაწყვეტილება შეიქმნას კომისია, რომელსაც დაევალა კონტაქტები დაამყაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ ქვეყნებთან.

შეეხებიან რა ირან-ერაყის შეიარაღებულ კონფლიქტს, არაბული სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებმა მიმართეს ორივე მხარეს, ზედმიწევნით დაიცვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციები, რომლებიც მოუწოდებენ მხარეებს შეწყვიტონ ცეცხლი და დააყენონ ჯარები საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებზე. ამავე დროს თათბირის მონაწილეებმა იკისრეს ვალდებულება „დაიცვან ყველა არაბული ტერიტორია და რომელიმე არაბული სახელმწიფოს წინააღმდეგ ყოველგვარი აგრესია მიიჩნიონ ყველა არაბული ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიად“.

როგორც იუწყებიან, სუდანის პრეზიდენტმა ნიმეირიმ წამოაყენა წინადადება ეგვიპტე დაუბრუნდეს არაბული ქვეყნების რიგებს. ეს წინადადება „ერთხმად უარყვეს“.

საბოლოო სხდომაზე გამოსულმა მაროკოს მეფემ ჰასან მეორემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სხდომის მონაწილეთა მიერ მიღებული ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგების გეგმა გამოხატავს არაბთა მისწრაფებებს და წარმოადგენს არაბული ქვეყნების ერთიან პოზიციას არაბთა-ისრაელის კონფლიქტის მიმართ.

ჩინეთის კომპარტიის XII ყრილობა

პეკინი. ჩინეთის კომპარტიის XII ყრილობა მუშაობას განაგრძობს. ჩინეთის პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ პლენარულ სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა ხუ იაობანის თავმჯდომარეობით, მიიღეს დადგენილება ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო და დადგენილება ჩინეთის კომპარტიის ახალი წესდების დამტკიცების შესახებ.

საანგარიშო მოხსენების გამო მიღებულ დადგენილებაში ყრილობამ „სწორად ცნო ხაზი, კურსი და პოლიტიკური მიზანდასახულობანი, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის შემდეგ“. ყრილობა აღნიშნავს, რომ პროგრამა და მთელი რიგი პოლიტიკური მიზანდასახულობანი, რომლებიც „ითვალისწინებენ ახალი ვითარების შექმნას სოციალისტური მოდერნიზაციის ყველა ფრონტზე“, საფუძვლად უნდა დაედოს პარტიის მთელ შემდგომ მუშაობას.

წესდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ახალი წესდება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან. ახალ წესდებაში აღნიშნულია, კერძოდ, ცვლილებანი ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური ორგანოებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების სტრუქტურაში. უქმდება ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების პოსტები. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანოების მიმდინარე მუშაობის გაძღოლა ეკისრება პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს.

პარტიის წესდებით გათვალისწინებულია პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მრჩეველთა ცენტრალური კომისიის შექმნა, რომელიც, როგორც წესდებაშია ნათქვამი, „არის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური თანაშემწე და კონსულტანტი“. იგი მუშაობს ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით. მრჩეველთა ცენტრალური კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ სულ ცოტა 40 წლის პარტიული სტაჟი. მრჩეველთა ცენტრალური კომისიის თავმჯდომარეს ირჩევენ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მუდმივი კომიტეტის წევრთაგან. ანალოგიური კომისიები იქმნება ადგილებზე — პროვინციების, ავტონომიური რაიონების, ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქების დონის პარტიულ კომიტეტებთან.

გათვალისწინებულია აგრეთვე შეიქმნას დისციპლინის შემოწმების ცენტრალური კომისია და ანალოგიური ადგილობრივი კომისიები. იუწყებიან, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხედრო საბჭოს წევრებს ნიშნავს ცენტრალური კომიტეტი, ხოლო სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევენ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მუდმივი კომიტეტის წევრთაგან.

ახალი წესდება შეიცავს საპროგრამო ნაწილს, რომელშიც აღნიშნულია, რომ „თავის მოქმედებაში პარტია ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმითა და მაო ძედუნის იდეებით“. „მთელი პარტიის სოლიდარობისა და ერთიანობის პოლიტიკურ საფუძვლადაა მიჩნეული სოციალისტური გზის, სახალხო დემოკრატიული დიქტატურის, პარტიის ხელმძღვანელობისა და მარქსიზმ-ლენინიზმისა და მაო ძედუნის იდეების განმტკიცება, მთელი ძალების წარმართვა ჩინეთის სოციალისტური მოდერნიზაციისათვის“.

10 სექტემბერს გაიმართა ყრილობის პლენარული სხდომა, რომელზეც აირჩიეს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 210 წევრი და მრჩეველთა ცენტრალური კომისიის 172 წევრი. ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებსა და დისციპლინის შემოწმების ცენტრალური კომისიის წევრებს აირჩევენ ყრილობის მორიგ სხდომაზე.

ბრძოლისა და შრომის რვა წელიწადი

სოციალისტური ეთიოპიის ეროვნული დღესასწაულის — რევოლუციის დღის გამო

თავისებური ბუნებით ეთიოპია აფრიკის კონტინენტის ეგზოტიკურ ქვეყნებს შორისაც კი უნიკალურად ითვლება.

მდიდარი და თავისებურია ქვეყნის ისტორიაც, რომელიც სამ ათასწლეულზე მეტს ითვლის. შეუძლებელია გულგრილი დარჩე ეთიოპელი ხალხის გმირული წარსულისადმი, ხალხისა, რომელსაც არაერთხელ მოუხდა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა.

ამ გასაოცარ ხალხს სიღატაკეში ხდებოდა სული. იგი სამმაგ ჩაგვრას განიცდიდა: მონარქიის, ფეოდალებისა და ეკლესიისაგან.

ძლიერდებოდა მშრომელების, სტუდენტებისა და პროგრესულად განწყობილ უმცროსი ოფიცრების უკმაყოფილება და აღშფოთება. 1974 წლის თებერვალში ძირგამომპალი რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. გაფიცვებსა და დემონსტრაციებს არმიამაც დაუჭირა მხარი და მალე შეიქმნა დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭო. რამდენიმე თვეში მან ფაქტობრივად მთელი ძალაუფლება იგდო ხელთ, ხოლო იმავე წლის 12 სექტემბერს გამოაცხადა, რომ „ძლევამოსილი ლომი, ღვთის რჩეული, ეთიოპიის „მეფეთ მეფე“ იმპერატორი ჰაილე სელასიე ჩამოგდებულია ტახტიდან.

1974 წლის დეკემბერში დროებითმა სამხედრო ადმინისტრაციულმა საბჭომ გამოაქვეყნა თავისი პირველი საპროგრამო დოკუმენტი, რომლითაც სოციალისტური ორიენტაციის კურსი გამოაცხადა. პოლიტიკურ დეკლარაციას კონკრეტული ნაბიჯები მოჰყვა. მოხდა ბანკების, მსხვილი სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაცია, მიღებულ იქნა ახალი შრომითი კანონმდებლობა, განხორციელდა რადიკალური აგრარული რეფორმა. გადასცა რა მიწა მათ, ვინც მას ამუშავებდა, რევოლუციამ გაინაღდა მშრომელი გლეხობის მხარდაჭერა.

ამის პასუხად შინა და გარე რეაქციამ რევოლუციის წინააღმდეგ აშკარა შეტევა წამოიწყო. სამი თვის განმავლობაში ეწეოდა ახალი ხელისუფლება ძნელ და სისხლისმღვრელ ბრძოლას ტერორისტულ ბანდებთან, სეპარატისტულ დაჯგუფებებთან და, ბოლოს, სომალის შეიარაღებულ აგრესიასთან.

მხოლოდ 1978 წელს, მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დაამარცხა იმპერიალიზმის ძალები, შეძლო ეთიოპიამ მშვიდობიან აღმშენებლობითს შრომაზე გადასვლა. განვლილ წლებში აღდგა ომით გაჩანაგებული ეკონომიკა, სოფლად მიმდინარეობს კოლექტივიზაციის პროცესი, წარმატებით ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების აღმავლობის მოკლევადიანი პროგრამა, საბოლოოდ ზუსტდება 1983-1992 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული ათწლიანი გეგმა.

ფოტოობიექტივში ადის-აბება

ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებას ხშირად უწოდებენ „აფრიკის დედაქალაქს“. აქ განლაგებულია ამ კონტინენტის ბევრი რეგიონის საერთაშორისო ორგანიზაციების შტაბბინები.

სურათზე: „აფრიკის სახლი“ (მეორე პლანზე) — აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის შტაბბინა.

ადნ-საქდესის ფოტო.

სახიფათო ნაბიჯი გამალებულ შეიარაღებაში

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რ. რეიგანმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს მომავალ საფინანსო წელს პენტაგონს გამოეყოს 177 მილიარდი დოლარი კონკრეტული სამხედრო პროგრამებისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების „ძირითადი ფუნქციების“ უზრუნველყოფისათვის. ეს თანხა უპრეცედენტოა ქვეყნის ისტორიაში. იგი 47 მილიარდი და მეტი დოლარით აღემატება მიმდინარე საფინანსო წელს გამოყოფილ ანალოგიურ ასიგნებებს. ამას გარდა, კანონპროექტით გათვალისწინებული ხარჯები, მხოლოდ ნაწილია პენტაგონის საერთო გიგანტური ბიუჯეტისა, რომელიც დაგეგმილია მომავალი საფინანსო წლისათვის 263 მილიარდი დოლარის ოდენობით.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეს ნაბიჯი მორიგი სახიფათო ეტაპია უგუნურ გამალებულ შეიარაღებაში, რომელსაც აძლიერებს ვაშინგტონი. ეს ხუთი წლის მანძილზე ამერიკელ გადამხდელებს დაუჯდება 2,25 ტრილიონი დოლარი.

ა. ლიუტი.

აი, ასეთი მწამს კომუნისტი!

სამშობლოსა და კომუნისტური პარტიის წინაშე დამსახურებისათვის, დაბადების მეოთხმოცე წლისთავზე, იგი ამ ცოტა ხნის წინათ დააჯილდოვეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, უფრო ადრე კი გადასცეს საპატიო ნიშანი, დაწესებული იმ ვეტერანი კომუნისტებისათვის, რომლებიც ორმოცდაათ წელზე მეტია მშობლიური კომუნისტური პარტიის წევრები არიან. გაზეთის ფურცლებზე, ტელევიზორში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ნაცნობი სახე.

ვინც ამ ოცი-ოცდაათიოდე წლის წინათ უნივერსიტეტში სწავლობდა ან პარტიის ისტორიის ინსტიტუტში საკონსულტაციოდ და ცოდნის გასაღრმავებლად მისულა, ყველას ახსოვს ნიკოლოზ მახარაძის მზრუნველი და ყურადღებიანი დამოკიდებულება სტუდენტისა თუ ახალბედა მეცნიერისადმი. იგი აიღებდა საჭირო წიგნს. სწრაფად მონახავდა იმ თავებს, რომლებიც გვჭირდებოდა, და მოკლედ აგვიხსნიდა, თუ რა იყო აქ მთავარი და რისთვის უნდა მიგვექცია ყურადღება. ამ მოკლე საუბარში მარტო ცოდნა კი არ ჩანდა, არამედ იდუმალი ძალაც, რომელიც გატყვევებდათ სიმართლით და დამაჯერებლობით.

საღამოხანს ხშირად შეგვხვდებოდათ რუსთაველის პროსპექტზე. მაღალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, იგი დაფიქრებული დინჯად მოაბიჯებდა, შვენოდა უკან გადავარცხნილი შავი თმა და ოდნავ თავაწეული წინ, თითქოს შორეულ სივრცეში იყურებოდა.

მაშინ ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობდით მას. ახლა, როცა დაწვრილებით ვიცით ნიკოლოზ მახარაძის ბიოგრაფია, რომ იგი მოწმე და უშუალო მონაწილეა საქართველოს კომპარტიის ყოველი წარმატებისა თუ დროებითი უკანდახევისა, მხოლოდ მოწიწების და პატივისცემის გრძნობა გვიპყრობს ამ ჭეშმარიტი კომუნისტისადმი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ხალხისადმი უმწიკვლო სამსახურის, თავმდაბლობის და მოკრძალების ნიმუშია. განა ჩვენი მომავალი თაობისათვის მისი ცხოვრება მისაბაძი მაგალითი არ არის?!

ასე გადავწყვიტეთ მკითხველისთვის გაგვეცნო ეს უანგარო ადამიანი.

კარი თვით ნიკოლოზმა გაგვიღო. ოთხმოცი წლისა არაფრით არ გეგონებათ ეს ჭარმაგი კაცი. თმა ოდნავ შევერცხლილა, მოძრაობა ისევ ახალგაზრდული აქვს. აი მისი სამუშაო ოთახიც. თაროებზე ლამაზად და წესრიგით დალაგებული ზღვა წიგნებიდან რამდენიმე საწერ მაგიდაზე გადაუტანია და სამუშაოში ჩაფლულა. დიახ, იგი ისევ ისეთივე გატაცებით და შემართებით მუშაობს, როგორც ამ ოცი-ოცდაათიოდე წლის წინათ.

მასპინძელი საუბარს გაზეთ „პრავდის" ძველი, გაყვითლებული ნომრის ჩვენებით იწყებს. აქ გამოქვეყნებულია ლანჩხუთელი კომუნისტების მისალმება პროლეტარიატის დიდი ბელადისადმი. მისალმებაში ნათქვამია, რომ ლენინი დაძლევს ბურჟუაზიის წინააღმდეგობას და მუშათა კლასს გაუძღვება წინ სოციალისტური რევოლუციისაკენ. „პრავდის" ეს ნომერი ოქტომბრის რევოლუციამდე — 1917 წლის 14 აპრილს გამოვიდა. მაშინ მთელი რუსეთი რევოლუციით სუნთქავდა, ყველა მშრომელისა და ჩაგრულის თვალი იმედით იყო მიპყრობილი ბოლშევიკური პარტიისა და მისი ხელმძღვანელისადმი. ლანჩხუთელთა მისალმებაც ღირსშესანიშნავ დღეს — 1917 წლის 3 აპრილს უკავშირდება, როცა ლენინი ემიგრაციიდან დაბრუნდა. მაშინ მშრომელთა გულში კვლავ ჩაისახა იმედი, რომ თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუცია სოციალისტურ რევოლუციაში გადაიზრდებოდა. პეტროგრადელი მუშები ფინეთის ვაგზალში აღფრთოვანებული შეხვდნენ ვლადიმერ ილიას ძეს. ამ შეხვედრაზე იყო ლანჩხუთელი სტუდენტი ტ. ცინცაძეც, რომელიც იმხანად პეტროგრადის უნივერსიტეტში სწავლობდა. რამდენიმე დღის შემდეგ იგი სამშობლოში ჩამოვიდა. იმხანად ლანჩხუთში პატარა, მაგრამ მეტად ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაცია არსებობდა. ცინცაძის ნაამბობმა აღაფრთოვანა ლანჩხუთელი ბოლშევიკები. რუსეთში ლენინის დაბრუნების ამბავი ლანჩხუთიდან ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ჩაიტანეს იქაურმა მოსწავლეებმა — ნიკოლოზის თანაკლასელებმა, და დაიბადა აზრი მისალმებოდნენ დიდ ბელადს. ტექსტი ნიკოლოზმა და მისმა მეგობრებმა შეადგინეს და ლანჩხუთელი კომუნისტების კრებამაც გადაწყვიტა გაეგზავნათ მისალმება „პრავდის" რედაქციაში. ეს მისალმება ერთ-ერთი პირველია იმათ შორის, რომლებიც საქართველოდან დიდი ლენინისთვის გაუგზავნიათ.

ასე, უყოყმანოდ დადგა ნიკოლოზ მახარაძე ბოლშევიკების მხარეზე, თუმცა ჯერ პარტიის წევრი არ იყო. როცა ოქტომბრის რევოლუცია მოახლოვდა, როცა ბოლშევიკები მედგრად იკაფავდნენ გზას და უკანასკნელი იერიშისათვის ემზადებოდნენ, ყველაზე ხელჩაქნეული სკეპტიკოსიც კი რწმუნდებოდა, რომ გაიმარჯვებდა სწორედ ის, ვინც მუშათა და გლეხთა ინტერესებს იცავდა, ვისაც მიზნად ჰქონდა ხალხის კეთილდღეობისთვის ბრძოლა. ასეთ ვითარებაში ძნელი არ იყო შეგეცვალა მრწამსიც, შეხედულებაც, მიზანიც, და უყოყმანოდ ბოლშევიკების მხარეზე დამდგარიყავი. მაგრამ ნიკოლოზ მახარაძე მაშინ შეგნებით და სინდისით უკვე ჭეშმარიტი ბოლშევიკი იყო და მისი ასეთად ჩამოყალიბება ჯერ კიდევ ათი წლის ასაკში დაიწყო.

ვეტერანის ზეპირი მოგონებიდან: ცნობილი პროფესიონალი რევოლუციონერი ფილიპე მახარაძე ჩემი ბიძა იყო. ვერც რევოლუციური მოღვაწეობა, ვერც საპატიმრო და გადასახლება ვერ აშორებდა მშობლიურ კერას და, როცა დროს გამონახავდა, შემოქმედში ჩამოდიოდა ოჯახით. უნდა გენახათ, რა გამოცოცხლება იყო ხოლმე ჩვენს სახლში. ადგილობრივი გლეხები — ჩვენი მეზობლები უმალ გაავსებდნენ პაპაჩემის ეზოს, იცოდნენ — ფილიპე სოფელში მართალ და გლეხკაცისათვის საინტერესო ამბავს ჩამოიტანდა. ფილიპეს მათთვის წიგნებიც და გაზეთებიც ჩამოჰქონდა და გვიან ღამემდე არ წყდებოდა საუბარი და კამათი. ეს ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. 1911 წელს ფილიპეს ასტრახანში გადასახლების ვადა გაუთავდა და ნება დართეს ეცხოვრა და ემუშავა ალექსანდროვსკ-გრუშევსკში (ახლანდელ შახტში). იმხანად შემოქმედში მისი ოჯახის წევრები ჩამოვიდნენ. ვისარგებლე შემთხვევით და ვთხოვე წავეყვანეთ ბიძასთან რუსეთში. უარი არ მითხრეს, და ათი წლის ბიჭი ასე შევუდექი ქვეყნის და ხალხის გაცნობას. აქედან იწყება ჩემი ბავშვური შეხედულებების გარდატეხაც და ცხოვრებაზე დაკვირვებაც. გზად მიმავალნი როსტოვში შევჩერდით. სასტუმრო, სადაც დავბინავდით, ერთ იქაურ კაპიტალისტს ეკუთვნოდა. მას მრავლად ჰყავდა ეტლებიც და დაქირავებული მეეტლეებიც. საღამოობით მთელი დღის ნამუშევარი და შეზარხოშებული მეეტლეები ბრუნდებოდნენ და მეპატრონეს ფულს აბარებდნენ. ამ ანგარიშსწორების დროს გვესმოდა ყვირილი, გინება და უშვერი ლანძღვა-გინება. მეეტლეებს ფულის დამალვასა და არაკეთილსინდისიერებას აბრალებდნენ, ისინი თავს იმართლებდნენ და პატიოსნებას ხატზე იფიცებდნენ. მერე დაწყნარდებოდნენ, მაგრამ მეორე დღეს კვლავ თავიდან იწყებოდა ყველაფერი. ასე გავიცანი ქალაქიც და პირველი კაპიტალისტიც. ჩემი პატივისცემა ქალაქური ცხოვრებისადმი ერთბაშად გაქრა, და მეამაყებოდა, რომ სოფელში ვცხოვრობდი.

ალექსანდროვსკ-გრუშევსკში ბიძაჩემი ბიბლიოთეკაში მუშაობდა. მაშინ ქალაქში პარტიული ორგანიზაცია არ იყო და სამსახურებრივი მდგომარეობა ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა მუშებთან შესახვედრად. ბიძაჩემიც ეძებდა საბაბს მუშახალხებთან სასაუბროდ. ესეც მალე მოხდა. მათ პირველივე შეხვედრაზე მოეწონათ ფილიპე, სულგანაბული უსმენდნენ და თვითონაც აქტიურად ერეოდნენ საუბარში. შემდეგ ფილიპეს მისამართით უამრავი წერილი მოდიოდა. წერილებს ის მუშები გზავნიდნენ, რომელთაც არ ჰქონდათ ბიბლიოთეკაში ხშირად მოსვლის შესაძლებლობა. ბიძაჩემი დაუყოვნებლივ უპასუხებდა და მიმოწერას ბოლო არ უჩანდა. ასე დამყარდა მტკიცე კავშირი მუშებსა და პროფესიონალ რევოლუციონერს შორის.

როცა ნიკოლოზი ალექსანდროვსკ-გრუშევსკიდან დაბრუნდა, სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი უკვე დამთავრებული ჰქონდა და სწავლა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში განაგრძო. აქ მოუსწრო მას 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ, რომელმაც ბევრი საკითხი წამოჭრა. კერძოდ, ყველას აინტერესებდა, თუ როგორ განვითარდებოდა რევოლუცია, და რა კურსს აიღებდა პროლეტარიატი და მისი მებრძოლი პარტია. ამ დროს სასწავლებელში უკვე მარქსისტული კლუბი ჰქონდათ და ნიკოლოზ მახარაძე და მისი ამხანაგები — კლუბის წევრები ეწაფებოდნენ მარქსისტულ ლიტერატურას და ღებულობდნენ პოლიტიკურ განათლებას.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში ერთადერთი ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი" იყო. მარქსისტული კლუბის წევრებმაც წერილი მისწერეს ამ გაზეთის რედაქციას. კორესპონდენცია 1917 წლის 24 მაისს გამოქვეყნდა. მასში დაწვრილებით იყო აღწერილი, თუ რას ისახავდა მიზნად კლუბი, როგორი იყო მისი წესდება და ვინ იყო არჩეული მის გამგეობაში. ამ კორესპონდენციის საფუძველზე რედაქციამ გამოაქვეყნა მოწოდება ახალგაზრდობისადმი, მოიწონა ასეთი კლუბის შექმნა, მისი საქმიანობა და მოუწოდა ახალგაზრდობას შეესწავლათ მარქსიზმი, ებრძოლათ მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად და რევოლუციის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ეს მოწოდება, პირველ ყოვლისა, სტიმული იყო ნიკოლოზისა და მისი ამხანაგებისათვის. მათ კიდევ უფრო გააუმჯობესეს კლუბის მუშაობა, სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხზე აწყობდნენ დისპუტებს, ავრცელებდნენ გაზეთებს (ძირითადად „პრავდას"), წერდნენ წიგნების ანოტაციას და ეცნობოდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულებას, შემდეგ მათი მოქმედების ასპარეზმა სასწავლებლიდან ახლომდებარე სოფლებში — შემოქმედში, დვაბზუში, ბოხვაურში, ლიხაურში და ბახვში გადაინაცვლა. ამ საქმიანობამ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ყურადღება მიიპყრო და ერთი პატარა ჯგუფი ივლისში ბოლშევიკური პარტიის რიგებში მიიღეს. ამ ჯგუფში იყო ნიკოლოზ მახარაძეც.

ივლისის ცნობილი ამბების შემდეგ რევოლუციის ძალები არნახულად იზრდებოდა. მისი შეჩერება უკვე არაფერს შეეძლო. ლენინმა სამართლიანად უსაყვედურა ბურჟუაზიული მთავრობის ხელმძღვანელებს, რომ ბოლშევიკების დევნით ისტორიის წინაშე სჩადიხართ დანაშაულს, რადგან კომუნისტური პარტია მუდამ იყო და არის ეპოქის დროშა, გონება, სინდისი და პატიოსნებაო.

ისტორიის ჩარხის უკუღმა შებრუნება არარაფერს შეეძლო, და ოქტომბრის რევოლუციამ ლოგიკურად დააგვირგვინა რუსეთის პროლეტარიატის შეუპოვარი ბრძოლა ჭეშმარიტი თავისუფლებისა და კომუნისტური იდეალების დამკვიდრებისათვის.

ვეტერანის ზეპირი მოგონებიდან: ოქტომბრის რევოლუცია ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ძალით შემოიჭრა.

იმხანად ოზურგეთში ერთი ინტელიგენტის ოჯახში ვცხოვრობდი. აქ ხშირად იკრიბებოდნენ განათლებული ადამიანები. ვერ ვიტყვი ბოლშევიკურად იყვნენ განწყობილნი-მეთქი, მაგრამ მოჰქონდათ ახალი ამბები და ცხარედ კამათობდნენ იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაზე. აქ ისიც მომისმენია, მეფე სამუდამოდ კი არ ჩამოაგდეს, არამედ დროებით გადადგა, ვიდრე ომი დამთავრდება და ყველაფერი დაწყნარდებაო.

სულ სხვა იყო ეს ინფორმაცია ჩემთვის და მივხვდი, რომ ოქტომბრის რევოლუციით ახალ ერას ჩაეყარა საფუძველი.

სასწავლებელი 1919 წელს დავამთავრე და ხვარბეთში მასწავლებლად დავიწყე მუშაობა, თუმცა ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა მეტად ხანმოკლე გამოდგა — დაიწყო ბოლშევიკური აჯანყება და საჭირო გახდა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლა.

ჯერ კიდევ მენშევიკების სრული ბატონობის პერიოდში საიმედო კავშირი გვქონდა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებთან. მე ერთ დროს პარტიული ორგანიზაციის უჯრედის მდივანიც ვიყავი, მერე რაიონული ორგანიზატორიც. ჩემი მოვალეობა იყო თბილისში ინფორმაცია მიმეწოდებინა ბოლშევიკური გაზეთისათვის. პარტიული ორგანოც და ხელმძღვანელიც მაშინ ძირითადად გაზეთი იყო. ამ ფუნქციას ჯერ „კავკაზსკი რაბოჩი" ასრულებდა, შემდეგ კი „ბრძოლა". როგორც ცნობილია, 1918 წლის დამდეგს მენშევიკებმა „კავკაზსკი რაბოჩი" და „ბრძოლა" დახურეს, წლის მიწურულს კი სამხარეო კომიტეტის ნაწილი თბილისიდან კავკავში გადავიდა, სადაც მაშინ საბჭოთა ხელისუფლება იყო. სწორედ 1918 წლის ბოლოს სამხარეო კომიტეტმა მოახერხა იქ გაზეთის გამოშვება. მახსოვს, ერთი დასტა ამ ქართული გაზეთებისა კავკავიდან ჩემმა მეზობელმა სიმონ გვარჯალაძემ ჩამოიტანა. იგი ჯარისკაცი იყო, და რაკი სამშობლოში ბრუნდებოდა, ჩვენმა პარტიულმა ხელმძღვანელებმა ასეთი საქმე მიანდეს. სიმონმა გაზეთები მე გადმომცა. ეს ჩემთვის დიდი საჩუქარი იყო. ეს ის დროა, როცა მენშევიკები და სხვები ამტკიცებდნენ ბოლშევიზმი გაქრაო.

ჩემი სოფლის ცენტრს ჯვარი ეწოდება. იქ ხელოსნები, ძირითადად მეწაღეები მუშაობდნენ. მათ შორის იყო — ტარასი დუმბაძე, კომუნისტი, მეტად გავლენიანი კაცი. მივუტანე ეს გაზეთები და ვთხოვე გაევრცელებინა. ასეც მოიქცა. გაზეთი სწორედ ოქტომბრის რევოლუციის წლისთავს ასახავდა და მის მნიშვნელობაზე, მის გაქანებაზე მოუთხრობდა მკითხველს. ამან დიდი გავლენა მოახდინა ოზურგეთელ ბოლშევიკებზე.

როცა პარტიის ხელმძღვანელები საქართველოში დაბრუნდნენ, ჩვენც ვგზავნიდით კორესპონდენციებს თბილისში. რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი საფოსტო პაკეტის გამოყენებას პირდაპირი მისამართით აზრი არ ჰქონდა. წერილებს ვგზავნიდით ნაცნობებთან ორი კონვერტით, დიდ კონვერტში პატარა კონვერტი იდო და ნაცნობები კარგად აგვარებდნენ რედაქციისათვის მისი დროულად გადაცემის საქმეს. იმხანად ხაშურში მასწავლებლად მუშაობდა ჩემი მეგობარი ლადო ბარამიძე. იგი გურიიდან მენშევიკების მხრივ დევნას გამოექცა. ლადოს ჩამოჰქონდა წერილი თბილისში და აბარებდა ადრესატს.

ასეთ პირობებში მიხდებოდა მუშაობა და მეკავშირის მოვალეობის გაწევა. ასე უნდა მიმეწოდებინა ინფორმაცია ხელმძღვანელებისათვის რაიონში არსებულ მდგომარეობაზე.

1920 წლის მაისში, როგორც ცნობილია, დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის. იგი ითვალისწინებდა ჩვენი ორგანიზაციის გადასვლას ლეგალურ მდგომარეობაზე. ასეც მოხდა. გაერთიანდა აქ არსებული ბოლშევიკური ორგანიზაციები და შეიქმნა ერთიანი პარტია. მოქმედება შეწყვიტა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და მის მაგივრად რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ თავის ხელში აიღო ამიერკავკასიის კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნა და მისი დროებითი ცენტრალური კომიტეტის არჩევა მოხდა სრულიად საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების თათბირზე 28-29 მაისს.

მაშინვე მიიღეს გადაწყვეტილება ლეგალური გაზეთის დაარსების შესახებ. და აი, ჩვენ მოგვეცა წინადადება, რომ გაგვეძლიერებინა ინფორმაციის მიწოდება პრესისათვის. 2 ივნისს გაზეთ „კომუნისტში" ფსევდონიმით „ქ. გომელი" დაიბეჭდა ჩემი „წერილი გურიიდან". წერილში აღნიშნული იყო გურიის პოლიტიკური ვითარება, ის, რომ იშლებოდა მენშევიკური ორგანიზაციები და ძლიერდებოდა ბოლშევიკების ავტორიტეტი. წერილი ფაქტებს ემყარებოდა, რომელთა უშუალო მოწმეც ვიყავი. მენშევიკებს მართლაც არ ჰქონდათ მტკიცე ორგანიზებული პარტია და ხელისუფლება, ეს კი ჩვენს მუშაობას აადვილებდა.

ასე ვიბრძოდით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის და ოცდაერთი წლის თებერვალმაც ძლევამოსილად შემოაბიჯა საქართველოში. აპრილში გაიმართა ოზურგეთის პირველი სამაზრო პარტიული კონფერენცია. მე რაიკომის მდივნად ამირჩიეს, სამაზრო კომიტეტის მდივანი კი თევდორე დოლიძე გახდა.

მე ძირითადად პოლიტიკური ხელმძღვანელობა მევალებოდა. მაშინ ოზურგეთში საწარმოები არ იყო, მაგრამ კერძო ინიციატივას არ ვკრძალავდით. მახსოვს, ვიღაც ქალმა აბრეშუმის ძაფსახვევი საწარმო მოაწყო და იქ თორმეტ დაქირავებულ ქალიშვილს მოუყარა თავი; იყო ლიმონათის კერძო სამქროც. ჩვენ ამ შემთხვევაში მორალური ზემოქმედებით ვკმაყოფილდებოდით, ვქმნიდით ამ საწარმოებში პროფკავშირულ ორგანიზაციებს და ამით ხელს ვუწყობდით მუშახელის დასაქმებას. ეს ხანა ძნელბედობის პერიოდიც იყო. მენშევიკები ვერაფრით ვერ შეეგუვნენ დამარცხებას და იარაღით ცდილობდნენ დაკარგულის დაბრუნებას. ამან ბევრი საზრუნავი გაგვიჩინა და მშვიდობიან აღმშენებლობითს საქმეებს რომ მოვრჩებოდით, შაშხანით და მაუზერით ვცდილობდით მათი ბანდიტური თარეშის აღკვეთას.

პარტიის პირველი ყრილობა განსაკუთრებული სიცხადით შემორჩა ნიკოლოზ მახარაძის მეხსიერებაში. ამ დღეს, 1922 წლის იანვარს, სწორედ საქართველოს კომპარტიის პირველი ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ოზურგეთის მაზრიდან საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ ნიკოლოზ მახარაძე და მისი მეგობრები — თევდორე და ანდრო დოლიძეები, თეოფილე ჩიჩუა, ელიზბარ კალანდაძე და სხვები. დიახ, ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საყვარელ დედაქალაქში მათი პირველი სტუმრობა. ჭეშმარიტად, სხვა ელფერი დაჰკრავდა მოედნებსა და ქუჩებს, სხვა იყო ხალხის განწყობილებაც — უფრო ამაღლებული და იმედით სავსე. მაშინ, ამ ყრილობაზე ნიკოლოზ მახარაძემ და მისმა მეგობრებმა პირველად ნახეს ერთად თავშეყრილი ამდენი სახელოვანი რევოლუციონერი და სახელმწიფო მოღვაწე: სერგო ორჯონიკიძე და მამია ორახელაშვილი, მიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა და ალექსანდრე გეგეჭკორი, სერგო ქავთარაძე, შამშე ლეჟავა და სხვები. ახალგაზრდა რესპუბლიკას პირველ ყოვლისა ეკონომიკურ-მატერიალური საფუძვლების განმტკიცება სჭირდებოდა, და ყრილობაზეც დიდი ადგილი დაეთმო ამ საკითხებს. აქვე დელეგატებმა პირველად გაიგეს, რომ საფუძველი ეყრებოდა უდიდესი ელექტროსადგურის — ზაჰესის მშენებლობას. მისი პერსპექტივა და მასშტაბურობა ევროპაში ნამყოფ ადამიანსაც კი აკვირვებდა. ეს კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ საბჭოთა საქართველო თავისი აღმავლობისა და აღორძინების გიგანტური ნახტომებისათვის ემზადებოდა.

დიდ საქმეებს ეყრებოდა საფუძველი და ყველა დელეგატმა ნათლად იგრძნო, რომ მათ განსახორციელებლად სწავლა და დიდი ცოდნა იყო საჭირო. ახალგაზრდებმა, რომლებიც პარტიულ სამუშაოზე იყვნენ, ერთბაშად მიაშურეს ცოდნის შესაძენად მოსკოვის, ლენინგრადისა და თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს. ნიკოლოზ მახარაძე თბილისში ჩამოვიდა და ამიერკავკასიის კომუნისტურ სასწავლებელში განაგრძო სწავლა. ჭეშმარიტად ახალი ეტაპი დაიწყო მის ცხოვრებაში. როგორ არ ჰგავდა იგი ძნელბედობით, ფათერაკებით, დევნითა და შევიწროებით აღვსავსე დღეებს. ახლა გულმოდგინება, ინიციატივა, კომუნისტური საქმის ერთგულება და თავდადება ერთიათად ფასობდა, და ნიკოლოზ მახარაძე უნივერსიტეტში სწავლასთან ერთად უღრესად დაძაბულ, საინტერესო მუშაობას ეწეოდა — ჯერ როგორც თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, ხოლო შემდეგ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი.

ნიკოლოზს უნივერსიტეტი დამთავრებულიც კი არ ჰქონდა, რომ საქალაქო კომიტეტის იმ პარტიული კაბინეტის გამგედ დანიშნეს, რომელსაც შემდეგში კეცხოველის სახელობის კაბინეტი ეწოდა. კარგად არის ცნობილი, როგორი დიდი წვლილი შეიტანა მან რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური განათლების საქმეში. ახლა შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას — ამ დიდ ტრადიციას და კაბინეტის ფართო დანიშნულებას სწორედ ნიკოლოზ მახარაძის ხელმძღვანელობით ჩაეყარა საფუძველი. მის მიერ ორგანიზებულმა ღონისძიებებმა პოლიტიკური განათლების ეს უბრალო კერა იმ დროისათვის მეტად საჭირო, მიმზიდველი და სიცოცხლით სავსე პოლიტიკური თავშეყრის ცენტრად აქცია. აქ ხშირად მოდიოდნენ ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, მ. კახიანი, ლ. ღოღობერიძე, შ. ელიავა და სხვა თვალსაჩინო პარტიული მოღვაწეები, მოდიოდნენ, რათა შეხვედროდნენ არა მარტო დედაქალაქის, არამედ მთელი რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლებს, ესაუბრათ და ეკამათათ მათთან, წაეკითხათ ლექცია-მოხსენებები, გაემართათ დისკუსია და მათთან ერთად ემსჯელათ და ეოცნებათ რესპუბლიკის უკეთეს მომავალზე.

ამას კი იმ დროს, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან სულ რაღაც სამი-ოთხი წელი იყო გასული, დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ნიკოლოზ მახარაძის ასეთი ნაყოფიერი მოღვაწეობა და ორგანიზატორული მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. იგი სამუშაოდ ჯერ პარტიის თბილისის კომიტეტში გადაიყვანეს, შემდეგ კი ალბულაღის (ახლანდელი თეთრი წყარო) რაიკომის მდივნად აირჩიეს.

ალბულაღის რაიკომში ხშირად მიდიოდნენ რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები. მათი რჩევა და მითითება ნიკოლოზისათვის ფასდაუდებელი დახმარება იყო. ასეთმა მუშაობამ გამოაწრთო და ჩამოაყალიბა იგი ნამდვილ პარტიულ მუშაკად. და თითქმის მთელი ათი წლის მანძილზე ნიკოლოზს ნახავდით იქ, სადაც პარტიას ყველაზე მეტად სჭირდებოდა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილედ, ცენტრალური პარტიული სკოლის გამგედ. ოცდაათიანი წლების დამდეგს ნიკოლოზ მახარაძემ მოსკოვში წითელ პროფესურაში განაგრძო სწავლა და დამთავრების შემდეგ პარტიულ სამუშაოს აღარ დაბრუნებია. პარტიული მუშაკის ძნელი და მოუსვენარი ცხოვრება არანაკლებ საპასუხისმგებლო პედაგოგიურ მოღვაწეობასა და ისტორიულ-პარტიული მეცნიერების შესწავლაზე გაცვალა: იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის განყოფილების გამგე, პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, უნივერსიტეტის პარტისტორიის კათედრის გამგე და ა. შ. გამოაქვეყნა სამოცამდე მეცნიერული შრომა, მათ შორის რვა მონოგრაფია. მონაწილეობდა მრავალ საკავშირო თუ საერთაშორისო სიმპოზიუმში. ამჟამად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ოქტომბრის რევოლუციის საპრობლემო საბჭოს საქართველოს განყოფილების თავმჯდომარეა. წიგნისათვის „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში" — მიენიჭა ს. ჯანაშიას სახელობის პრემია, ხოლო სამშობლოსა და პარტიის წინაშე დიდი დამსახურებისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით და მედლებით.

მისი ცხოვრების ბოლო მონაკვეთის ამ ძუნწ დახასიათებაშიც კარგად ჩანს კომუნისტის, მეცნიერ-პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ჭეშმარიტად დიდი და საქვეყნო საქმიანობა.

საუბარში სწრაფად გაილია დრო. ფანჯრიდან ბინდს შემოეჭრა და არც კი დავფიქრებულვართ როგორ დავღალეთ და შევაწუხეთ ჩვენთვის ესოდენ საპატიო და საინტერესო ადამიანი. ამ რამდენიმე საათის განმავლობაში ჩვენს წინ ჩაიქროლა თითქმის მთელმა მეოცე საუკუნემ. მისი ცოცხალი მემატიანე კი ენციკლოპედიური ცოდნითა და სიზუსტით გვესაუბრებოდა ჩვენი პლანეტის ყველაზე ადამიანური ადამიანების — კომუნისტების მიერ შთამომავლობისათვის გაწეულ დიდ ღვაწლსა და ამაგზე, იმაზე, რაც საერთოდ კაცობრიობისათვის გაუკეთებიათ ლენინური წრთობის ადამიანებს.

— მე რომ მკითხოთ, რა მოეთხოვება დღეს კომუნისტს, — შეაჯამა საუბარი ნიკოლოზმა, — ვიტყოდი: კომუნისტმა საზოგადოებას უნდა მისცეს იმის მაქსიმუმი, რის გაკეთებაც შეუძლია. ეს აზრი იყო ჩამოყალიბებული ნოდარ დუმბაძის წერილშიც კომუნისტების შესახებ, ამ რამდენიმე თვის წინათ თქვენს გაზეთში რომ გამოქვეყნდა. ნოდარ დუმბაძე ნიჭიერი მწერალია, ცხოვრებას კარგად იცნობს და ამიტომაც არ გაჭირვებია დაენახა მთავარი და უპირველესი თანამოაზრეთა ცხოვრებაში. რით იქცევს დღეს საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს ყურადღებას საქართველოს კომპარტიის საქმიანობა? სწორედ იმით, რომ მიუხედავად სიძნელეებისა და რთული ვითარებისა, ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტებმა და მათმა ხელმძღვანელებმა არ უღალატეს მრწამსს, იპოვეს გამოსავალი და ქვეყნის თვალში აღადგინეს საქართველოს შებღალული სახელი. ეს უფროსი თაობის წარმომადგენლებს იმ იმედით გვავსებს, რომ საქმე, რომელიც ჩვენ დავიწყეთ, უკვდავია. ვერავინ შეძლებს გადაგვახვევინოს გზიდან. კომუნისტი ბოლომდე მწყობრში უნდა დარჩეს! მე ახლა ვამთავრებ ნაშრომს, რომელიც თეორიული მრწამსისა და პრაქტიკის ერთიანობას შეეხება. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის სტატია იმის შესახებ, თუ როგორ არ უნდა სცილდებოდეს ერთმანეთს კომუნისტის სიტყვა და საქმე...

დიახ, მას სურს ჩვენს საზოგადოებას, ახალგაზრდობას გააცნოს თავისი შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი კომუნისტი.

ჩვენთვის კი, ოთხმოციანი წლების კომუნისტებისათვის, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ნიკოლოზ მახარაძე და მისი თანამოაზრეები ხომ ის ადამიანები არიან, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ეპოქის გარიჟრაჟზე სჭვრეტდნენ ჩვენს ნათელ მომავალს, საფუძველს უყრიდნენ ხალხის ბედნიერებას და კეთილდღეობას.

გიორგი ნაჭყებია,
ნოდარ ჯაველიძე.

მწყობრში ბოლომდე უნდა დარჩე

საქართველოში
აზერბაიჯანული
კინოს
დღეებისათვის

მეგობრობის ეკრანი

13-დან 15 სექტემბრამდე ჩვენს რესპუბლიკაში გაიმართება აზერბაიჯანული ფილმების დღეები. მაყურებლებს მიეცემათ შესაძლებლობა ფართოდ გაეცნონ „აზერბაიჯან-ფილმის" სტუდიის საუკეთესო ნამუშევრებს, რომლებიც ასახავენ მშობლიური მხარის, მისი მშრომელების ისტორიასა და დღევანდელ დღეს.

კინოს დღესასწაული გაიხსნება კინოთეატრ „ამირანში" მხატვრული ფილმის — „ზეგ, შუაღამისას". — პრემიერით, რომელიც რეჟისორმა ა. ბაბაევმა დადგა მ. ავდიევის, რ. ფატალიევისა და ა. დონეცის სცენარის მიხედვით. კინოლენტში აღდგენილია საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აზერბაიჯანელ ჩეკისტთა საქმიანობის ერთ-ერთი გმირული ფურცელი.

აზერბაიჯანული კინოს დღესასწაულთან დაკავშირებით საქართველოს დედაქალაქში ჩამოვა ბაქოელ კინომოღვაწეთა ჯგუფი. სტუმრები შეხვდებიან მაყურებლებს, ქართველ კოლეგებს, ისაუბრებენ დათვალიერების აფიშაში წარმოდგენილ კინოფილმებზე, დამსწრეთ გაუზიარებენ შემოქმედებით გეგმებს.

— ჩვენი წლევანდელი შეხვედრა ქართველ მაყურებლებთან მეგობრების წინაშე შემოქმედებითი ანგარიშია დიდი და ნათელი დღესასწაულის — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წინ, — თქვა აზერბაიჯანის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა ა. ალიევმა. — დღეს განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით ვიგონებთ იმ გამოჩენილ ხელოვანთ, რომლებიც ეროვნულ კინემატოგრაფს ედგნენ სათავეში და თავიანთი ხალასი ნიჭითა და შთაგონებებით ხელს უწყობდნენ მის წარმატებით განვითარებას. უწინარეს ყოვლისა, მათ რიცხვში ვასახელებთ ქართული კინოხელოვნების მოღვაწეებს, რომლებთანაც შემოქმედებითი ურთიერთობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნამდვილ ძმურ მეგობრობად და მჭიდრო თანამშრომლობად გადაიქცა. ჯერ კიდევ 1916 წელს თბილისის კინოპავილიონში გადაღებულ იქნა ერთ-ერთი პირველი აზერბაიჯანული მხატვრული ფილმი „ნავთობისა და მილიონების სამეფოში", სადაც მთავარ როლს ასრულებდა თვალსაჩინო მსახიობი გ. არაბლინსკი. მოგვიანებით ბაქოში ფილმების გადასაღებად მიიწვიეს ი. პერესტიანი, მ. ჭიაურელი და ნ. შენგელაია. რევოლუციისშემდგომი პირველი წლების აზერბაიჯანულ კინემატოგრაფში მოვლენა გახდა მხატვრული ფილმი „26 ბაქოელი კომისარი", რომელიც ნ. შენგელაიამ დადგა. ეს ფილმი, რომელშიც გაცოცხლებულია რევოლუციური ბრძოლის მატიანის ერთ-ერთი სახელოვანი ფურცელი, აზერბაიჯანელი მაყურებლებისათვის იმითაც არის სამახსოვრო, რომ მასში მონაწილეობდა ვ. ანჯაფარიძე.

ქართული სცენისა და ეკრანის ნიჭიერი ოსტატები ლ. აბაშიძე, ა. შენგელაია, ლ. ელიავა, ი. ხვიჩია და სხვები ბევრი აზერბაიჯანული ფილმის მონაწილენი არიან...

მრავალეროვნული საბჭოთა კინოხელოვნების პალიტრა დღეს შეუძლებელია წარმოიდგინოთ თანამეგობრობის, შემოქმედებითი კონტაქტების გარეშე, რომლებიც ემსახურებიან მაღალ და კეთილშობილურ მიზანს — ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრებას.

ჩვენი შეხვედრები უკვე ტრადიციული გახდა, მაგრამ მღელვარებით ველით ახლანდელ შეხვედრას — ხომ ასე ხდება ხოლმე ყოველთვის, როცა ახლობელი ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან.

აზერბაიჯანის კინოხელოვნების წლევანდელი დათვალიერება შედის „მოძმე კინოსტუდიების გადაძახილის" პროგრამაში, რომელსაც საქართველოს სახკინო და რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირი აწყობენ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად. გადაძახილი გახსნა „საკმულტფილმის" დღეებმა და განაგრძო ლენინგრადელ კინოდოკუმენტალისტთა ანგარიშმა, „ლენფილმის" დღეებმა, შემდეგ კი კინოს დიდმა დღესასწაულმა — „მეგობრობის ფართო ეკრანმა".

საქართველოში კინოდღესასწაულის ესტაფეტას ჩაიბარებენ სომეხი კინემატოგრაფისტები, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთში მოეწყობა ეკრანის ქართველ ოსტატთა შემოქმედებითი ანგარიში.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

მარტო დაუდევრობა?

1974 წლის 20 დეკემბერს საექსპლოატაციოდ გადაეცა ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთის საშუალო სკოლის სამსართულიანი კაპიტალური შენობა. ამ ძვირფასი საჩუქრისთვის სიხარულით ქუდი ცაში ისროლეს შუხუთელმა მოსწავლეებმა, მაგრამ ვაი, რომ სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა! შენობა იმდენად უხარისხოდ ყოფილა აგებული, რომ ათიოდე დღის შემდეგ ორი სადეფექტო აქტი შეადგინეს, რაზეც ხელს აწერენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, ლანჩხუთის რაიონის სანეპიდსადგურის, სახანძრო ინსპექციის, ელექტროქსელების განყოფილებისა და სხვა ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, სპეციალისტები.

შედგენილ აქტებში ჩამოთვლილია 20 სხვადასხვა სახის სამუშაო, მშენებლობის პროცესში რომ უნდა შესრულებულიყო, მაგრამ მშენებელთა უპასუხისმგებლობითა და დაუდევრობით არ გაკეთებულა. ამის მიუხედავად, სკოლაში მეცადინეობა მაინც დაიწყო, ოღონდ იმ პირობით, რომ მშენებლებს არსებული დეფექტები 1975 წლის 25 იანვრამდე გამოესწორებინათ. მაგრამ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ფოთის მე-11 ტრესტის მახარაძის №22 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მშენებლები მას აქეთ სათოფედ არ გაჰკარებიან შუხუთის სკოლას.

1975 წლის 31 იანვარს სპეციალური კომისია ჩამოვიდა, რომელმაც ერთხელ კიდევ გულდასმით შეისწავლა სკოლის შენობის მდგომარეობა, კვლავ შეადგინა აქტი და მასალები საბოლოო დასკვნისათვის გადაუგზავნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტს. ინსტიტუტმა თავის მხრივ განათლების სამინისტროს გაუგზავნა დასკვნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ „სკოლის შენობის კედლის დანესტიანების თავიდან აცილებისათვის საჭიროა მოიხსნას მისი შელესვა, გაიწმინდოს კედლის ნაკერები, აეკრას ლითონის ბადე სათანადო ჩამაგრებით და შეილესოს მაღალი მარკის 2-3 სანტიმეტრი სისქის ცემენტის ხსნარით".

ამის შემდეგ განათლების სამინისტრომ სპეციალური მიმართვით დაუყონებლივ აცნობა ყოველივე ფოთის მე-11 ტრესტის ხელმძღვანელობას თხოვნით: შეესრულებინათ აღნიშნული სამუშაოები, მაგრამ ტრესტის მაშინდელმა მთავარმა ინჟინერმა მ. კვირაიამ ხელახალი პროექტი და ხარჯთაღრიცხვა მოითხოვა, თუმცა სკოლის მშენებლობაზე ჯერ კიდევ 36 ათასი მანეთის სამუშაოები ჰქონდათ შეუსრულებელი.

ყოველივე ეს მოთხრობილი გვქონდა ჩვენი გაზეთის 1975 წლის ივლისის ნომერში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილში „დაუდევრობა?" წერილს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საქმეში ადმინისტრაციული ორგანოებიც ჩაერივნენ. მაგრამ კონკრეტულად არავინ დაუსჯიათ, ამ აშკარა დაუდევრობისათვის პასუხი არავისათვის არ მოუთხოვიათ.

მას შემდეგ უკვე ექვსი სასწავლო წელი გავიდა. [illegible] სადეფექტო აქტები და [illegible] ვა ინსტანციის [illegible] ქაღალდზე [illegible] ზრდათ შუხუთელებს საჩივარ-განცხადებების წერა და მიენდნენ განგებას. მაგრამ როდემდე?

ამას წინათ „კომუნისტის" საკორესპონდენტო პუნქტში კვლავ სიგნალი მოვიდა. — შუხუთის საშუალო სკოლის შენობა ახლა კი ნამდვილად კატასტროფის წინაშეაო. ლანჩხუთის სახალხო განათლების განყოფილების გამგესთან გ. ქინქლაძესთან, შუხუთის საშუალო სკოლის დირექტორთან ა. იმნაიშვილთან და შუხუთის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარესთან მ. ფირცხალაიშვილთან ერთად დავათვალიერეთ სკოლის შენობა, მისი საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები. აღმოჩნდა, რომ სადეფექტო აქტებში აღნიშნული დარღვევები ზღვაში წვეთია სინამდვილესთან შედარებით! შენობის ფასადიდან შემოსული წვიმის წყალი გუბეებად დგება საკლასო ოთახებში. ქიმიისა და ფიზიკის კაბინეტში ხმაურით ცვივა ჭერიდან ბათქაში. სართულთშორისი გადახურვა ერთმანეთს ისეა დაცილებული, ლამის ჩამოინგრეს...

— ცალი თვალი კარებისკენ გვიჭირავს, — ხმადაბლა, მოსწავლეებს რომ არ გაეგონათ, ისე გვითხრეს მასწავლებლებმა ნ. ფირცხალაიშვილმა და ნ. თევზაძემ, — გვეშინია, ჭერი თავზე არ ჩამოგვენგრეს... ამ გულისხეთქაში ექვსი წელი გავიდა და გამკითხავი კაცი არ ჩანს.

მათი შიში უსაფუძვლო რომ არ არის, ამას თვით შენობის ალაგ-ალაგ გაბზარული კედლებიც მოწმობს. ჩამონგრეულია სახურავზე ასასვლელი ერთადერთი შიგნითა კიბის რკინაბეტონის მოედანი. სასკოლო ბიბლიოთეკაში ჭერი ჩამოზნექილია და სახურავიდან ჩამონადენი წყლისათვის მრავალ ადგილას ვედროები შეუდგამთ. ცუდ დღეშია ბიბლიოთეკის 15-ათასიანი წიგნადი ფონდი.

შენობას სასწრაფოდ სჭირდება კაპიტალური რემონტი. თუ არა და, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მის აგებაზე დახარჯული 300 ათას მანეთზე მეტი თანხა წყალშია ჩაყრილი.

ერთი სიტყვით, შუხუთის საშუალო სკოლის მშენებლობაში თავის დროზე დაშვებული დარღვევები დაუდევრობით აიხსნება, უპასუხისმგებლობითა თუ სხვა რამით, — დანაშაულია, რისთვისაც ვინმემ ხომ უნდა აგოს პასუხი?!

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

რუსთავი: საკავშირო სკოლა-სემინარი

სამთამადნო და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა ჯანმრთელობის დაცვის პრობლემების გადასაწყვეტად ჰიგიენის მეცნიერების შემდგომი სრულყოფის გზებს იხილავენ ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საკავშირო სკოლა-სემინარის მონაწილენი, რომელიც გაიხსნა რუსთავში — ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქში. სკოლა-სემინარი მოწვეულია სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით.

ერთი კვირის მანძილზე ქვეყნის ახალგაზრდა მეცნიერ ჰიგიენისტებს ლექციებს წაუკითხავენ საბჭოთა ჰიგიენის მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები — შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. იზმეროვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ხაჩიძე, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი ს. ამირიძე.

სკოლა-სემინარის გახსნაზე მის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე თ. ჭყონია, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი ნ. იზმეროვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

პირველ დღეს ლექცია — „მეტალურგიული და სამთამადნო მრეწველობის მუშათა ჯანმრთელობის დაცვის სოციალური პროგრამა" — წაიკითხა საკავშირო პროფსაბჭოს პასუხისმგებელმა მუშაკმა ე. მუსიჩინამ.

— სკკპ XXVI ყრილობამ ახალი მნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა ქვეყნის მედიცინის მუშაკებს, კერძოდ ჰიგიენის მეცნიერების წარმომადგენლებს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნ. ი. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ვ. ვაშაკიძემ, — ჰიგიენისტთა მეცადინეობით უკანასკნელ წლებში მივაღწიეთ სამთამადნო, მეტალურგიული, ქიმიური მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიულ დაავადებათა მნიშვნელოვან შემცირებას. ამ დარგების ბევრ სამრეწველო საწარმოში საერთოდ არ არის პროფესიული დაავადებანი, ასეთ საწარმოებს განეკუთვნება რუსთავის მეტალურგიული ქარხანაც.

ამავე დროს, მუშათა შრომის დაცვის საკითხები მთლიანად არ არის გადაწყვეტილი. ამიტომ მთავარია განვსაზღვროთ ჰიგიენის მეცნიერების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, მატერიალურ-ტექნიკური და კვლევითი ბაზის განმტკიცების, მეცნიერ მედიკოსთა და ტექნიკურ მუშაკთა კონტაქტების გაძლიერების გზები. საჭიროა აგრეთვე გამოვძებნოთ წარმოებასთან ჰიგიენის მეცნიერების შემდგომი ინტეგრაციის ოპტიმალური ფორმები ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ეს და სხვა საკითხები უნდა განიხილონ ახალგაზრდა მეცნიერმა ჰიგიენისტებმა — წლევანდელი სკოლა-სემინარის მონაწილეებმა.

ხელოვნებისა და ძმობის დღესასწაული

ტაშკენტი. უზბეკეთის დედაქალაქში მიმდინარეობს ხელოვნების სრულიად საკავშირო ფესტივალი „ტაშკენტის ოქროს შემოდგომა", რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

ფესტივალი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სასახლეში. მოკავშირე რესპუბლიკების ათასზე მეტი წარმოგზავნილი — რუსეთის სფსრ, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდავეთის, საქართველოს ანსამბლები და გუნდები შეიკრიბნენ საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის ამ დღესასწაულზე.

ფესტივალი „ტაშკენტის ოქროს შემოდგომა" ტრადიციული გახდება. იმ დღეებში, როცა მიწა ადამიანებს თავის უხვ ნობათს აძლევს, „ტაშკენტის ოქროს შემოდგომაზე" შეიკრიბებიან მთელი საბჭოეთის ხელოვნების ოსტატები. (საქტასი).

სტიქია სამხრეთ ოსეთში

ბუნებამ ახალი სიურპრიზი მოუწყო რესპუბლიკის მშრომელებს. 9 სექტემბერს საღამოს და ღამით სამხრეთ ოსეთს თავს დაატყდა სეტყვა და კოკისპირული წვიმა, ქროდა გრიგალისებური ქარი. სტიქიამ დიდი ზარალი მიაყენა ცხინვალისა და ჯავის რაიონებს. მეტად დაზიანდა ცხინვალის რაიონის სოფლების ახალბეთის, კეხვის, ქემერტის, ძარწემის კოლმეურნეობების, ერედვის საბჭოთა მეურნეობის ორას ჰექტარზე მეტი ვენახი, ბაღები, ბოსტნები, ბალჩეული კულტურების ნათესები. დაზიანდა ადგილობრივ მცხოვრებთა საცხოვრებელი ნაგებობები.

ხორციელდება სეტყვის შედეგების ლიკვიდაციის ოპერატიული ღონისძიებანი. ძირნაყარის შესაგროვებლად დარაზმულია მთელი მოზრდილი მოსახლეობა. წმენდენ და ხნავენ ბოსტნების ზიანებულ ფართობებს, რათა დათესონ ბოლოკი, მწვანილი და ბალოხი.

სტიქიამ სერიოზული ზარალი მიაყენა აგრეთვე ჯავისა და როკათის საბჭოთა მეურნეობების ნათესებს. დაბა ჯავის ქუჩებში სეტყვის საფარმა 10 სანტიმეტრს მიაღწია. დაზიანებულია ელექტროგადამცემი ხაზი, გაწყვეტილია კავშირი.

ცხინვალისა და ჯავის რაიონებში შექმნილია [illegible]

ქვალი დედამიწაზე

„ყოფაქცევა — ეს სარკეა, რომელშიც თითოეული ადამიანი თავის სახეს აჩვენებს", — უთქვამს დიდ გოეთეს.

კარგი ყოფაქცევა ნიშნავს ნამდვილი ცხოვრებით იცხოვრო. გამორჩეული პიროვნებები თავიანთი საქციელით ყოველთვის იძლევიან ასეთ მაგალითს.

სამი ადამიანი. სამი ცხოვრება. სამი ბედი.

დიდი ლენინის თანამებრძოლს, ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილ მოღვაწეს პაველ პეტრეს ძე პოსტიშევს ოციანი წლების დამდეგს უკრაინაში მუშაობისას ხშირად უხდებოდა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მივლინებით გამგზავრება.

ერთ-ერთი ასეთი მივლინებისას მატარებელი, რომლითაც ის მგზავრობდა, სადგურ ლოზოვაიაში დიდხანს შეჩერდა. პოსტიშევი ვაგონიდან ჩამოვიდა და ვაგზლის შენობაში შევიდა. იქ, ღუმელზე მიყრდნობილ უპატრონო ყმაწვილს ეძინა. თოთხმეტიოდე წლისა თუ იქნებოდა. პოსტიშევმა ბიჭი გააღვიძა და თავის ვაგონში წაიყვანა, ჩაით გაუმასპინძლდა, შემდეგ კიევში თავის ოჯახში მიიყვანა.

პოსტიშევის მეუღლემ — ტატიანა სიმონის ასულმა ბიჭი აბანავა, სუფთა საცვლები ჩააცვა და ლოგინი დივანზე გაუშალა. დაღლილ-დაქანცულ ბიჭს დიდხანს ეძინა... იგი ოჯახის წევრი გახდა.

სურსათის სახალხო კომისარი, დიდი ლენინის თანამებრძოლი ალექსანდრე დიმიტრის ძე ციურუპა ერთხელ იმ ეშელონით ბრუნდებოდა რომელსაც მოსკოვის მუშებისათვის პური მიჰქონდა. ყაზანის ახლოს მივარდნილ პატარა სადგურში ეშელონი დაყოვნდა

ციურუპა ვაგონიდან ჩამოვიდა და გამხდარი გოგონა დაინახა, რვა წლის იქნებოდა, დაუძლურებულ სხეულს ძლივს უფარავდა კონკები, გოგონა ლტოლვილთაგან განაპირას, პლატფორმის ბოლოს იჯდა, ხელები მოხუცი ქალივით მუხლებზე დაეწყო.

ალექსანდრე დიმიტრის ძე მასთან მივიდა და გამოელაპარაკა. გოგონამ თავი ასწია და ციურუპამ ბავშვის ღონემიხდილი, გაფითრებული სახე დაინახა. მწვავე ტკივილით განიმსჭვალა ძველი ბოლშევიკის გული, როდესაც გოგონას დიდ, გულგრილად მომზირალ შავ თვალებს შეხედა.

— სად არიან შენი მშობლები? — ჰკითხა ალექსანდრე დიმიტრის ძემ.

გოგონა ისე შეჰყურებდა მას თითქოს ეუბნებოდა: არაფერი არ მესმისო.

— სად არის დედა? ჰკითხა ციურუპამ ბაშკირულად, რომელიც ცოტათი ჰგავს თათრულს. გოგონამ თავი გაიქნია და უპასუხა:

— ენიემ უნდე (დედა გარდაიცვალა).

— სად ცხოვრობ?

— ბელმინ (არ ვიცი).

— რა გქვია?

— გაიშა.

ალექსანდრე დიმიტრის ძემ ქურთუკის ჯიბიდან შაქრის პატარა ნატეხი ამოიღო და გოგონას გაუწოდა.

— ჰა, აიღე.

გოგონამ აიღო შაქარი, გალოკა, და გაკვირვებით შეხედა მას.

— შიკერ... სახარ — რუსული და თათრული სიტყვების შერევით ამბობდა გოგონა.

მან ისევ გალოკა შაქრის ნატეხი, მაგრამ შეჭმა ვერ გადაეწყვიტა.

— ჭამე, ჭამე, — გაუმეორა ალექსანდრე დიმიტრის ძემ.

რამდენიმე წუთი რჩებოდა ეშელონის გასვლამდე, ალექსანდრე დიმიტრის ძეს კი სურდა, რომ გოგონას მის თვალწინ შეეჭამა შაქარი, ეშინოდა, ვაითუ, წაართვანო. მემანქანემ სიგნალი მისცა. მატარებელი საცაა დაიძრება და ციურუპა მიხვდა, რომ მას არ შეუძლია, უფლება არა აქვს, აქ, მივარდნილ სადგურში მიატოვოს მშიერი ბავშვი. ციურუპამ ხელში აიყვანა გოგონა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა ეშელონისაკენ.

ციურუპა გაიშასთან ერთად მოსკოვში ვაგზლიდან პირდაპირ თავის სამუშაო კაბინეტში მივიდა. მან მდივანს სთხოვა გოგონასათვის ჩაი დაელევინებინა, თვითონ კი სახლში, ბავშვებთან წავიდა. ყველა შეკრიბა და უთხრა:

— ახლა თქვენთან მოვა თათარი გოგონა. იგი ჩვენთან იცხოვრებს. მე გთხოვთ, ბავშვებო, ისე მოეპყრათ, როგორც ღვიძლ დაიკოს... მან არასოდეს არ უნდა იგრძნოს, რომ სხვის ოჯახში ცხოვრობს... იგი ჯერ კიდევ არც ისე კარგად ლაპარაკობს რუსულად, მაგრამ, თქვენთან ერთად რომ იცხოვრებს, მალე ისწავლის...

ციურუპას ხუთივე ბავშვი დაუმეგობრდა გოგონას. მისდამი ყველა დიდ ყურადღებას, სითბოს და ალერსს იჩენდა.

გავიდა ცოტა ხანი და ალექსანდრე დიმიტრის ძე ციურუპამ თავის ერთ-ერთ ნაცნობს სთხოვა მოსკოვში მოენახა თათრული სკოლა, მას არ სურდა, რომ გოგონას მშობლიური ენა დავიწყებოდა.

ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება.

1921 წელს, როცა ვოლგისპირეთში, ჩრდილოეთ კავკასიასა და უკრაინაში გვალვებს შიმშილობა მოჰყვა, საქართველომ გულთბილად მიიღო 1200 უპატრონო ბავშვი.

ასევე იყო დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში, როცა შუა აზიის და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში დღისით და ღამით მიდიოდა ეშელონები, ვაგონებში — „ტეპლუშკებში" კი იყვნენ დაჭრილები — საბჭოთა არმიის მამაცი მებრძოლები და მშიერი, დაობლებული ბავშვები. მათ როგორც მკვიდრ ნათესავებს ისე ღებულობდნენ.

დიდი სამამულო ომის წლებში ჭეშმარიტად დიდი მოქალაქეობრივი, ადამიანური გმირობა გამოიჩინეს ტაშკენტელმა მჭედელმა შააჰმედ შამახმუდოვმა და მისმა მეუღლემ ბახრი აკრამოვამ. ყოველივე კი ასე მოხდა. დიდი სამამულო ომის წლებში უზბეკეთი ღრმა ზურგად იქცა, ზურგად, რომელიც ათასი ძაფით იყო დაკავშირებული ფრონტთან. ტაშკენტში მოჰყავდათ ობოლი ბავშვები. ისინი, რომელთა მშობლებიც იბრძოდნენ ან გმირულად დაიღუპნენ.

და აი, ასეთი ძნელბედობის დროს, მჭედელმა შააჰმედ შამახმუდოვმა და მისმა მეუღლემ ბახრი აკრამოვამ აღსაზრდელად აიყვანეს და იშვილეს სხვადასხვა ეროვნების თხუთმეტი გოგო-ბიჭი.

ეს ადამიანურობის, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, ინტერნაციონალიზმის უმშვენიერესი მაგალითია, დედური მგზნებარე გულის სიკეთის და ხელგაშლილობის შესანიშნავი დასტურია.

თხუთმეტმა ბავშვმა, თითოეულმა თავის მშობლიურ ენაზე ერთსა და იმავე ქალს დედა უწოდა.

და ეს იშვიათი ფაქტი ურღვევი მეგობრობისა და დიადი ძმობის სიმბოლოდ იქცა.

ცოტა ხნის წინათ, ამა წლის მაისში ტაშკენტში ამ კეთილშობილური საქციელის უკვდავსაყოფად ძეგლი აღმართეს და სსრ კავშირის მეგობრობის ძეგლი უწოდეს.

ხალხთა მეგობრობის სახელობის მოედანზე კი სკულპტურული კომპოზიციაა აღმართული, რომელიც მჭედელ შამახმუდოვის ოჯახს ეძღვნება.

ყოველდღე დილის მზის თბილი სხივები ავარაყებს ბრინჯაოს ქანდაკებას — მჭედელი, მისი მეუღლე, მათი ბავშვები... სულ 17 ფიგურაა.

— რა არის ბედნიერება, როგორ ფიქრობ? — ჰკითხა მამამ თავის ერთ-ერთ გოგონას.

— არ ვიცი, გულწრფელად აღიარა გოგონამ.

ერთხანს დუმილის შემდეგ მამამ თვითონვე უპასუხა თავისივე კითხვას:

— ყველაზე დიდი ბედნიერებაა, — ჩემო გოგონავ, — ყოველთვის სჭირდებოდე ადამიანებს.

ადამიანებს რომ ჰკითხოთ, რა არის ყველაზე დიდი სიმდიდრე ამ ქვეყნად, გვიპასუხებენ: ბავშვები.

დიახ, ბავშვები — ფასდაუდებელი საჩუქარია, რომლითაც დაჯილდოებულია ადამიანი, და ადამიანი იმდენჯერ ადამიანია, რამდენი ბავშვიც აღზარდა.

მათ თხუთმეტი ბავშვის აღზრდის გარდა არაფერიც რომ არ გაეკეთებინათ, შეეძლოთ ამაყად ეთქვათ: „აი, ჩვენი კვალი დედამიწაზე!"

ამას წინათ ტაშკენტში ყოფნისას ადამიანური გონების და ხელის მშვენიერი ქმნილების — მონუმენტის ძირას ცოცხალი ყვავილების ზღვა ვნახე. მე, ყველა ქართველი ბავშვის სახელით, ჩემი შვილიშვილების მიერ მონდვრად დაკრეფილი გვირილების თაიგულიც მივუმატე.

სტატიაში „ხალხთა მეგობრობის მონუმენტი" კარგად წერდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი: „მზის ცხოველმყოფელი სხივების მსგავსად ძმობა აცისკროვნებს მთელი ჩვენი ქვეყნის, თითოეული რესპუბლიკის, თითოეული საბჭოთა ადამიანის ცხოვრებას.

მეგობრობის მონუმენტი — ეს ხალხთა მეგობრობისადმი, დიდი ლენინის უკვდავი საქმისადმი ერთგულების კიდევ ერთი გამოვლინებაა".

მსოფლიოში ამჟამად 2500-მდე ენაა.

არის ენები, რომლებზედაც მილიონობით ადამიანი ლაპარაკობს.

არის ენები, რომლებითაც ასიათასობით ადამიანი სარგებლობს.

ისეთი ენებიც არის, რომელზედაც ერთი აფრიკული ტომის რამდენიმე ასეული ადამიანი ლაპარაკობს.

და ზუსტად არავინ არ იცის, რამდენი სახელი და სიტყვა არსებობს მსოფლიოში.

და თუმცა ადამიანები ყველა პარალელზე და მერიდიანზე სხვადასხვაგვარად ლაპარაკობენ, არის ერთი სიტყვა, ერთი სახელი სამზეოში, რომელიც ყველა ენაზე ერთნაირი სიყვარულით წარმოითქმის — ბავშვი...

იგი ყველა მშვენიერ სახელთა მარგალიტია.

ფ. მახარაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.



„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

ქართული ცეკვა ეჯიბ და ლაზათი.

[illegible] ფოტო.

შემოქმედის ხუთწლედი

ეს რამდენიმე ლექსი, რა თქმა უნდა, მკითხველს სრულ წარმოდგენას ვერ შეუქმნის ჩემი ბოლო წლების შემოქმედებაზე. არადა, ნაყოფიერი იყო ეს წლები არა მარტო ჩემთვის, არამედ მთელი აფხაზური მწერლობისთვისაც, რომელიც თავის მგზნებარებით მხარში უდგას ჩვენს დღევანდელობას.

მომავალ წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" ქართულ ენაზე გამოსცემს ჩემი ლექსების კრებულს. ვნახოთ, როგორ მიიღებს მას ქართველი მკითხველი.

კლატონ ბებია

● ●

პირველი გრგვინვა...
ელვა ელვას გაეკიდება,
მოდის აპრილი ბედნიერი,
ფაფარგაშლილი...
ამ დროს ამბობენ:
— ბედნიერი ჟამი იწყება,
ზამთრისგან ოდით
ასე ჰყოფსო
ზაფხულს — აპრილი!
მაგრამ მე, როცა
პირველ ქუხილს აპრილში ვისმენ,
კვლავაც და კვლავაც
ოთხი მარტის თარიღი მახსოვს...
შეცვალოს იგი ამა ქვეყნად
თუ ძალუძს ვისმე? —
ყოველი წამი ბედნიერ წამს
ჩვენს გულში აქსოვს.

მ ა ხ ს ო ვ ს

მახსოვს: ცისმარე დგებოდი დილით
ფეხისწვერებზე, რომ ჩემთვის ძილი
არ დაგეფრთხო და... ეზოს კი ცოცხით
აკრიალებდი ლეთიური ლოცვით!
მახსოვს: დაზგებზე უთვალავ მაქოს
იმორჩილებდი, ვით ჯადოქარი, —
რაღაც ნამებში, ო, კარგად მახსოვს,
იქსოვებოდა მზის თავსაფარი.
მახსოვს: სოფელში იყო ქორწილი —
როგორ ასწრებდი —
ყველგან იყავი.
ლხინშიც იცოდი შრომა ორწილი —
ბაგეზე ღიმი გაურიყავით!
მახსოვს: აივანს მიმწუხრის ჟამად
ჩონგურის ჰანგით აჰკრიალებდი, —
და ის სიმღერა განილტვო, განა?
ბევრი რამ მახსოვს, მეირფასო დედი!
მახსოვს: მიქსოვდი ზღაპრების ხონჩას,
იმ დღეთა სიზმრებს ისევე ვნატრობ, —
ოცნების რემა ბალიშით მოსჩანს,
მაგრამ სიტყვები გაქრნენ და რატომ?
არ მახსენდება თვალები შენი,
არც ნანნავები (მითხრეს) ზღაპრული...
მენატა სევდა! ძნელია, ძნელი,
შენი ხმის ტემბრის დავრჩი ნატრული.
შენზე უფროსიც გავმხდარვარ, დედა,
შენ კი ისევე იმ ხნის მეგულები, —
ჩემდა რწმენად და ჩემდა იმედად
კვლავ მთელს დუნიას შეყვარებული!

● ●

აფხაზური სიმღერები
ბრძოლის დრო-ჟამს იშვა,
იყვნენ მჭრელნი ისე, როგორც
მოქნეული ხმალი,
„დაჭრილთა სიმღერები",
„ხრამების" თუ „გმირთა" —
რწმენა იყო ხალხის —
მისი ხერხემალი!
ო, უხსოვარ დროდან
ეს პატარა ერი,
იბრძოდა და იმარჯვებდა,
თან მღეროდა გზნებით, —
ვერ იხუმრა სიმღერებში,
რადგან იყო ძნელი,
თან ეხუმრა,
თან ეკაფა
ეკლიანი გზები!

● ●

აფხაზს ხომ ფაცხის
შუაგულში უნთია კერა;
ლეკვის ნაკვერჩხალი? —
სიცოცხლე სუნთქავს!
„ჩაგიქრეს კერა!"
ეს სასტიკი წყევლაა, წყევლა,
ნაღვერდალს მიტომ სულს უბერავს,
ნაცარში ფუთავს!
ახალმოსახლე
ცეცხლს აჩაღებს
სადმე, ხის ძირას,
თუმც უსახლ-კაროდ შეიძლება
კიდევ სიცოცხლე,
მაგრამ უცეცხლოდ? —
(აფხაზისთვის მუდამ იცოდეთ),
აღარ ლამდება დღე —
სასირკვას *) ის ზვარაკს წირავს!

*) ნართების ეპოსში სასირკვამ ცეცხლი უბოძა ხალხს. მან ისრით დაფშვნა ცეცხლიანი ვარსკვლავი.

თარგმნა **დილარ იმარდამამ.**

ყველანი სტარტზე!

საკავშირო მორბენლის დღისათვის მზადება ჩვენს რესპუბლიკაშიც ადრევე გაჩაღდა. საქართველოს სპორტკომიტეტმა თუ მისდამი დაქვემდებარებულმა სხვა ორგანიზაციებმა დიდი ორგანიზატორული მუშაობა გასწიეს. და აი, დადგა ეს დღეც: 12 სექტემბერი. უკვე ყველაფერი მზად არის, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება შესაფერისად ჩატარდეს. მაშ ასე, თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, თბუმის, ცხინვალის, საქართველოს ყველა ქალაქის, რაიონული ცენტრისა თუ სოფლის სტადიონებზე ასიათასობით მორბენალი აიღებს სტარტს.

დიდო და პატარავ, საინტერესო სტარტები გელით, მიაშურეთ სტადიონებს. სადაც სარბენი ბილიკებია გაკვალული!



ხუთი შეხვედრა

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის ხუთი მატჩი. თბილისის „დინამომ" უმასპინძლა დნეპროპეტროვსკის „დნეპრს". თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. გოლები გაიტანეს: ცავამ, ჩივაძემ, დარასელიამ.

დინამომ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მჭედლიძე (გაბელია), ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, მესხი, ცავა, შენგელია (ჯოხაძე).

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: კიევის „დინამო"-„შახტიორი" — 5:0, „ზენიტი"-ცსკა — 1:2, მოსკოვის „დინამო"-„ნეფთჩი" — 2:0, მინსკის „დინამო"-მოსკოვის „ტორპედო" — 0:1.

მოსკოვის საზონათაშორისო...

მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო შეჯიბრების სამი ტურის შემდეგ გათამაშდა გადადებული პარტიები. გარსიამ დაამარცხა ვან დერ ვილი და ველიმიროვიჩი, ანდერსონმა — გეორგიუ, როდრიგესმა — ვან დერ ვილი. ანდერსონ-როდრიგესის პარტია ყაიმით დამთავრდა. კვლავ გადაიდო ანდერსონ-ვან დერ ვილის პარტია. სამი ტურის შემდეგ ლიდერობენ სამნი — ტალი, კასპაროვი და გარსია — 2,5-2,5 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: ბელიავსკი — 2 ქულა, ანდერსონი — 1,5 (1 გადადებული), გელერი, საქსი და როდრიგესი — 1,5-1,5 ქულა. თითო ქულა აქვთ ველიმიროვიჩს, გეორგიუს, კონტეროსს და ქრისტიანსენს, მურეის 0,5 ქულა აქვს, ვან დერ ვილს — 0 და 1 გადადებული პარტია.

● ●

კარგად დაიწყეს

პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. საბჭოთა ათლეტებმა პირველი შეხვედრები გამარჯვებებით აღნიშნეს. თბილისელმა თემო ყაზარაშვილმა (48 კგ-მდე წონითი კატეგორია) დაამარცხა ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორი ჩაბუ ვადასი (უნგრეთი), კიროველმა ვასილ ფომინმა (57 კგ) — იოზეფ კრისტეი (ჩეხოსლოვაკია), მოსკოველმა გენადი ერმილოვმა (68 კგ) — ჩესლავ კოვალიკი (პოლონეთი), ქუთაისელმა თეიმურაზ აფხაზავამ (82 კგ)—ბუხუ (ჩინეთი), ულიანოვსკელმა ნიკოლოზ ინკოვმა (100 კგ) — გეორგის პიკილიდისი (საბერძნეთი).

გამოსათხოვარი სპექტაკლი

ვლადივოსტოკი. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივი, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში გასტროლებს ამთავრებს, დღეს ეწვია მცურავი ბაზის „შალვა ნადიბაიძის" მეზღვაურებს.

შეხვედრაზე გამოვიდა შორეული აღმოსავლეთის თევზმრეწველობის გაერთიანების სატრალერო და სარეფრიჟერატორო ფლოტის სამმართველოს უფროსი ი. დიდენკო.

ყველა შეკრებილის სახელით ორატორმა გულითადი მადლობა გადაუხადა ქართველ მსახიობებს მაღალი ოსტატობისათვის, სრული შემოქმედებითი ძალების ჩვენებისა და ბრწყინვალე ნიჭისათვის.

შორეული აღმოსავლეთის მშრომელებთან შეხვედრამ, რომელთა სახელოვანი წარმატებები კარგადაა ცნობილი მთელ ქვეყანაში, თქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა რ. ჩხეიძემ, სულიერად გაამდიდრა ქართველი მსახიობები, აჩუქა მათ ახალი მდიდარი შთაბეჭდილებანი, რაც უთუოდ, აისახება თეატრის შემოქმედებაში.

საღამოს ვლადივოსტოკში აჩვენეს რუსთაველის სახელობის თეატრის საგასტროლო აფიშის გამოსათხოვარი სპექტაკლი — ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე". (საქინფორმი).

სატურნირო ორბიტა

ველოსპორტი. ერევანში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაზე ტალინელმა ერიკა სალუმიაემ 1000 მეტრზე ადგილიდან რბოლაში გაიმეორა 17 წლის წინანდელი მსოფლიო რეკორდი — 1 წუთი და 12,365 წამი. 1965 წლიდან რეკორდის მფლობელი იყო მოსკოველი ლუბოვ ბროვინა.

კალათბურთი. ტალინში დამთავრდა ვაჟთა გუნდების საკავშირო გათამაშება. თასს მეათედ დაეუფლა ცსკა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ კიეველი არმიელები, მესამეზე — ტალინის „კალევი".

ჭაბუკი

დავით ბრონშტეინი: ჭადრაკს გულშემატკივრებისათვის თამაშობენ!

მან 81 წლის წინათ მსოფლიო პირველობაზე დიდი მატჩი ითამაშა. ამ ორთაბრძოლაში დავით ბრონშტეინი არ დამარცხებულა — 24 პარტიის შემდეგ აღინიშნა საყაიმო ანგარიში 12:12 და მიხეილ ბოტვინიკმა ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა. მისი მეტოქე, რა თქმა უნდა, ჭადრაკის ისტორიაში შევიდა როგორც თავისი დროის ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატი. ბრონშტეინს, ორგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, უამრავი პირველი პრიზი აქვს მოპოვებული საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამასთან, მხოლოდ წარსულ დროში რომ არ ვილაპარაკოთ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 58 წლის დიდოსტატმა წლეულს გაიმარჯვა მოსკოვის მე-60 საიუბილეო ჩემპიონატში, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა. ბრონშტეინის შედეგი ჩინებული იყო — 11,5 ქულა 17 შესაძლებელში და არც ერთი დამარცხება.

ბრონშტეინი დიდად პოპულარულია აგრეთვე როგორც საჭადრაკო ლიტერატორი და ჭადრაკის პროპაგანდისტი. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს იგი გაზეთ „იზვესტიის" საჭადრაკო განყოფილებას. მისი შესანიშნავი სტატიები, პარტიების კომენტარები დიდ ინტერესს იწვევენ. ბრონშტეინმა რამდენიმე წიგნი დაწერა, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა. ერთი მათგანი — „დიდოსტატთა ტურნირი შვეიცარიაში", საზღვარგარეთ ჩატარებულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად, მიჩნეულ იქნა, არც მეტი, არც ნაკლები, № 1 წიგნად, ყველაზე უფრო ძვირფასად საჭადრაკო ლიტერატურის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე!

ბრონშტეინი ქართველი მოჭადრაკეების დიდი მეგობარია. სამამულო ომის დროს, სრულიად ყმაწვილი, თბილისში ცხოვრობდა, მონაწილეობდა ადგილობრივ შეჯიბრებებში. აქ შემდეგაც არაერთგზის უთამაშია, გაუმართავს ერთდროული თამაშების სეანსები...

ჩვენი საჭადრაკო მიმომხილველი გ. გამრეკელი შეხვდა სახელგანთქმულ დიდოსტატს და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე, რომლებიც გულშემატკივრებს აინტერესებთ.

— თქვენ დიდი მომხრე ხართ „სწრაფი ჭადრაკისა", სადაც მოფიქრების დრო მხოლოდ 15 წუთით არის განსაზღვრული. თუ შეიძლება, აგვიხსენით ახეთი თამაშის თავისებურებები?

— 15-წუთიან პარტიას მე მინდა მომავლის ჭადრაკი ვუწოდო. მას უდავოდ აქვს არსებობის უფლება ჩვეულებრივ პარტიასთან ერთად, სადაც მოჭადრაკეს 40 სვლის მოსაფიქრებლად ორსაათნახევარი ეძლევა. 15-წუთიანი პარტია მეტად დინამიკურად მიმდინარეობს, მოჭადრაკე მკაცრ პირობებშია ჩაყენებული და წარმატების მისაღწევად მთელი თავისი გონებამახვილობა უნდა გამოიყენოს, ძალები დაძაბოს. ასეთი პარტია, სადაც მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება, საყურებლადაც მეტად საინტერესოა: აქ მოწყენის საშუალება არც მოჭადრაკეს აქვს და არც მაყურებელს.

დიდოსტატებს და ოსტატებს შეუძლიათ ასეთი პარტიები ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარონ. ჩემი აზრით, ერთი საღამოს მანძილზე მათ 4 ასეთი შეხვედრა უნდა გამართონ. მე პირადად ასეთ მატჩებში შევხვედრივარ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტალს, დიდოსტატ ვასიუკოვს, შვეიცარიაში ვეთამაშე ამ ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეს, ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს ჰაბუკებს შორის, საერთაშორისო ოსტატ ჰუგს. ყველგან ბევრი მაყურებელი გვყავდა.

ჩვენ გვყავს არა მარტო დიდოსტატები და ოსტატები, არამედ 5 მილიონი ორგანიზებული მოჭადრაკეც. მათ ჭადრაკი, გასაგებია, ძალიან უყვართ, მაგრამ ტურნირებისათვის თვეობით ვერ მოემზადებიან — ძირითადი პროფესია ხომ სულ სხვადასხვანაირი აქვთ. აი, 15-წუთიანი პარტია მათთვის ზედგამოჭრილია. ბევრს ითამაშებენ, ბევრს ისიამოვნებენ. ეს ეხება პირველთანრიგოსნებს და თუნდაც ოსტატობის კანდიდატებს.

ასეთი ჭადრაკის პროპაგანდის მიზნით სათანადო ნაბიჯებიც გადაიდგა. ორი წლის წინათ მოსკოვის საჭადრაკო ფედერაციამ სპეციალური კომისია შექმნა, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს „სწრაფ ჭადრაკს". აქ გათვალისწინებულია თხუთმეტიდან ორმოცდახუთ წუთამდე ხანგრძლივობის პარტიების თამაში. ასეთ შეჯიბრებებში თანრიგების მოპოვებაც შეიძლება. მოეწყო მოსკოვის თასის გათამაშება. როგორც თბილისის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარემ, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ალექსი კუჭავამ მითხრა, ასეთი შეჯიბრება თბილისშიც გაიმართება.

თქვენ იკითხავთ, ასეთი პარტიები ძალიან სწრაფი ხომ არ არისო? არა! ელვისებური პარტიები, სადაც მოჭადრაკეს მხოლოდ 5 წუთი ეძლევა, ბევრად უფრო სწრაფია, მაგრამ ხელოვნების, ოსტატობის ჩვენება იქაც კარგად შეიძლება.

მაგალითისათვის მკითხველებს მინდა შევთავაზო ასეთი ხუთწუთიანი პარტია, რომელიც 1970 წელს გათამაშდა იუგოსლავიის ქალაქ ჰერცეგოვინაში გამართულ დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირში.

რობერტ ფიშერი — დავით ბრონშტეინი.

ფრანგული პარტია

1. e4 e6 2. d4 d5 3. მc3 კb4 4. e5 b6 5. a3 კf8 6. f4 მc6 7. მf3 მh6 8. კd3 მf5 9. მe2 h5 10. g3 კb7 11. c3 ლd7 12. ლc2 0-0-0 13. b4 f6 14. კd2 მფb8 15. 0-0 მfe7 16. ეfb1 h4 17. მ:h4 g5 18. fg fe 19. ეf1 ed 20. cd კg7 21. კc3 e5 22. ეf7 ed 23. ე:g7 ე:h4 24. gh ლg4+ 25. მg3 dc 26. ლ:c3 d4 27. ლd2 მe5 28. ეf1 მd5 29. კf5 მf3+ 30. ე:f3 ლ:f3 31. კe4 ლ:a3 32. ლ:d4 ლc1+ 33. მფf2 ეf8+ 34. მf5 მc3 35. კ:b7 ე:f5+ 36. კf3 მd5 37. ეg8+ მფb7 38. ლe4 ლd2+ 39. მფg3 c6 40. ლ:f5 ლe1+ 41. მფg4 მe3+ 42. მფf4 მ:f5 43. მფ:f5 ლ:b4 44. ეg7+მფc8 45. კe4 ლf8+ 46. მფg6 ლe8+ 47. მფf5 ლf8+ ყაიმი.

ამ პარტიაში გაცილებით უფრო მეტი საჭადრაკო მოვლენები იყო, ვიდრე ბევრ სერიოზულ ხუთსაათიან შეხვედრაში.

— როცა თქვენ ერთდროულად 8 პარტია ითამაშეთ მსოფლიო ექს-ჩემპიონ მიხეილ ტალს, ეს გულშემატკივრებისათვის ფრიად უჩვეულო რამ იყო. ისინი ახეთ მატჩს პირველად ესწრებოდნენ.

— დიახ, ესეც გარკვეული სიახლე გახლავთ, რომელიც, როგორც თვით დარწმუნდით, ინტერესს იწვევს. ერთი პარტიის თამაშის დროს მოჭადრაკე ძალიან ხშირად პროფილაქტიკაზე ფიქრობს, რისკი მინიმალურია. დიდოსტატებს საშუალება არა აქვთ მთელი თავიანთი ცოდნა, ერუდიცია გამოამჟღავნონ ამ ერთ პარტიაში, ისინი გაცილებით უარეს მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი, ვიდრე, პიანისტი სოლო კონცერტის დროს.

ძალიან ხშირად მაყურებელი უკმაყოფილო რჩება ამ ერთი პარტიისა, რომელიც შეიძლება ყაიმითაც დასრულდეს. გავიხსენოთ პესიმისტური აზრები ჭადრაკის საყაიმო სიკვდილის შესახებ, რომლებიც მსოფლიო ექს-ჩემპიონებმა ემანუილ ლასკერმა და ხოსე რაულ კაპაბლანკამ გამოთქვეს.

8 პარტია, რომელიც ერთდროულად თამაშდება, მთლიანად ამჟღავნებს მოჭადრაკის დიაპაზონს. იგი დაცვის ხელოვნებასაც გვიჩვენებს და შეტევის წარმართვის ოსტატობასაც. თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ ინტერესს გამოიწვევდა ამნაირი მატჩი, ვთქვათ, ტალსა და კასპაროვს შორის. კვირაში ოთხჯერ ითამაშებდნენ. 32 პარტია ერთი კვირის მანძილზე მშვენიერი იქნებოდა.

თქვენ იკითხავთ, — ხომ გავრცელებული იყო დიდოსტატების სეანსები საათებით 6-8 ოსტატის ან ოსტატობის კანდიდატის წინააღმდეგ. ისინი ჩემი აზრით, არცთუ საინტერესოდ მიმდინარეობენ. ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები ისეთ პრობლემებს არ აყენებენ, როგორც დიდოსტატი დიდოსტატის წინააღმდეგ.

ერთი სიტყვით, 8 პარტია ერთდროულად, გამოჩენილ მოჭადრაკეებს შორის ნათამაშევი, ვფიქრობ, დიდ ინტერესს იწვევს.

— რა პრინციპულ განსხვავებას ხედავთ XIX და XX საუკუნის ჭადრაკს შორის?

— XIX საუკუნის ჭადრაკში რომანტიკა იყო გაბატონებული. მან დიდი ტალანტები მოგვცა — ანდერსენი, მორფი, ცუკერტორტი, ჩიგორინი. მათ ლასკერმა მეცნიერული მეთოდები დაუპირისპირა, რომლებიც შემდეგში, XX საუკუნეში უკვე ყველა დიდოსტატმა აითვისა. ჩვენი დროის ჭადრაკი — მეცნიერების ჭადრაკია.

— საერთაშორისო და საკავშირო ტურნირებში უამრავი პარტია ყაიმით მთავრდება...

— დიახ, ასეა. ყველაფერი შესწავლილი, ყველაფერი ცნობილია. გავიხსენოთ იუგოსლავიის ხუთტომიანი სადებიუტო ენციკლოპედია. 24-ტომიანი სადებიუტო გამოკვლევა, რომელმაც გამოსვლა დაიწყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ოსტატები ამ შრომებს სწავლობენ და არ უჭირთ ყაიმი, რომელიც კარგ შედეგად ითვლება.

და მაინც, ძველი შეხედულებები (ლასკერი, კაპაბლანკა) ჭადრაკის საყაიმო სიკვდილის შესახებ სწორი არ არის. ხომ ამჟამად წევავენ ბრძოლას ისეთი მოჭადრაკეები, როგორნიც არიან კასპაროვი, ბელიავსკი, ფსახისი, ტიმანი და სხვები. ჭადრაკს დიდი წარსული ჰქონდა და ასეთივე მომავალი აქვს!

— თქვენი აზრი საჭადრაკო ლიტერატურის შესახებ?

—ახლა მსოფლიოში ათასობით წიგნი გამოდის რომელთა წაკითხვა ერთი კაცისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია. მოგეხსენებათ, რამდენი წიგნი გამოდის ყოველწლიურად ჩვენთან, მაგრამ ხარვეზებიც გვაქვს. ჭადრაკის წიგნი სვლებზე კი არ უნდა იწერებოდეს, არამედ საჭადრაკო იდეებზე, მათ ბრძოლაზე. სადებიუტო სახელმძღვანელოები საკმაოდ გვაქვს, მაგრამ სატურნირო კრებულები აშკარად ცოტაა.

რედაქტორის მოადგილე
ლ. კიკნაძე.

ტელევიზია

12 სექტემბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — „წყაროები". 10.30 — „მალვიძარა". 11.00 — „ვემსახურები საბჭოთა კავშირს". 12.00 — „ჯანმრთელობა". 12.45 — „დილის ფოსტა". 13.15 — „საბჭოთა კავშირი საზღვარგარეთელი სტუმრების თვალით". 13.30 — „სოფლის საათი". 14.30 — „მუსიკალური კიოსკი". 15.00 — კ. სიმონოვი — „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან". ფილმ-სპექტაკლი. 16.30 — „კურინიქსები". დოკუმენტური ფილმი. 17.20 — დღეს ტანკისტის დღეა. 17.35 — კონცერტი. 18.20 — მულტფილმები. 19.00 — „საერთაშორისო პანორამა". 19.45 — პ. გერტელი — „ამაო სიფრთხილე". სპექტაკლი 21.05 — „კინომოგზაურობის კლუბი". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა". 23.05 — ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. 23.50 — მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. დამთავრების შემდეგ (00.20) — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20—დოკუმენტური ფილმები. 10.00 — მულტფილმები. 10.30 — გიტარისტი ა. ივანოვი-კრამსკოი. 11.10 — მხატვრული ფილმი „საქმიანი ადამიანები". 12.30 — „ცხოველთა სამყაროში". 13.30 — „სიმღერა-82". 14.00 — მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. 14.30 — ფილმი—ბავშვებს „იორღა მუსტანგი". 15.40 — პრემიერა დოკუმენტური ფილმისა „ბრალი ედებათ გენოციდში". 15.50 — დ. სკარლატის სონატები. 16.15 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.45 — საესტრადო პროგრამა (სოფიიდან). 17.15 — პრემიერა დოკუმენტური ტელეფილმისა „და მე შევეცქერი ჩემს ოცნებას..." 17.45 — „მისი აღმატებულების ადიუტანტი". მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი. მე-3 სერია. 19.00 — დიდი ოქტომბრის 65 წლისთავისათვის. „ჩვენი ბიოგრაფია". ფილმი 45-ე — „1961 წელი". 20.00 — „ინდოეთში". კინოპროგრამა. 20.30 — სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.15 — „ცხოვრების საგზური". 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „მხოლოდ ორნი".

12 სექტემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — კინონარკვევი „მემკვიდრეობა". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „დოკუმენტური ფილმი „ნოვგოროდი". 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები" (განმეორებით), 11.45 — „ჩვენი ანონსი". 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — „ცეროდენას ეკრანი". 13.10 — კონცერტი „უკრავს ნინო შირაქაძე". 13.50 — „კინოაფიშა". 14.20 — ახალგაზრდობისათვის — ფოლკლორული სალამო უნივერსიტეტში. 15.25 — „ვესტნიკი". 15.55 — „ჩვენი ლაშქარი" — გივი ბახტაძე. 16.30 — „ილუზიონი". 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.). 19.45 — „ზღაპრის გუდა". 20.00 — „მოამბე". 20.30 — „სპორტული კალეიდოსკოპი" (განმეორებით). 21.55 — „ჩაი-82". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა" (მ.). 23.05 — კონცერტი რუსთავის აგლომერატის ქარხნის მშენებლებისათვის.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი
(აკ. წერეთლის გამზ. № 2).

ფეხბურთი

15 სექტემბერი
უეფა-ს თასზე
თბილისის „დინამო" — ნეაპოლის „ნაპოლი" (იტალია)
დასაწყისი 19 საათზე.

ორგანიზაციებს ბილეთები მიეყიდება 13-14 სექტემბერს 10 საათიდან. აბონემენტებით (ტალონი 3) სტადიონის № 1, № 16 სალაროებში 13 და 14 სექტემბერს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათზე). ბილეთების საერთო გაყიდვა — 15 სექტემბერს სტადიონის № 1, № 5 და № 9 და № 19 სალაროებში 10 საათიდან. სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატებისა და დამსახურებული მწვრთნელებისათვის, ოლიმპიური ჩემპიონებისათვის, მსოფლიოსა და ევროპის რეკორდსმენებისა და ჩემპიონებისათვის — № 6 სალაროში; სსრ კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატებისათვის, გმირებისათვის № 7 სალაროში, დიდი სამამულო ომის ინვალიდებისათვის — № 8 სალაროში.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 08453 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20